მარიამ ნაცვლიშვილი

შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო

2019 წელი

საავტორო უფლება © 2019 წელი, მარიამ ნაცვლიშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მარიამ ნაცვლიშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ,,შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

30 ივნისი, 2019 წელი

ხელმძღვანელი: ლაშა ცერცვაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

2019 წელი

ავტორი: მარიამ ნაცვლიშვილი

დასახელება: შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე

ფაკულტეტი : იურიდიული

ხარისხი: კერძო სამართალი / სამართლის მაგისტრი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

მარიამ ნაცვლიშვილი

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ

მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ხელშეკრულება თითოეული ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რომლის პირობების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება მხარეთა მთავარი ვალდებულებაა. მაგრამ, მიუხედავად მხარეთა მზაობის პირნათლად შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, შესაძლებელია აღმოცენდეს ისეთი გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც მხარეებს ხელშეკრულების დადებისას არ შეეძლოთ და ისინი არსებით გავლენას ახდენენ მხარის მიერ ვალდებულების შესრულებაზე.

გარემოებების არსებითი ცვლილებისას მხარეებმა უნდა აწარმოონ მოლაპარაკებები და შეეცადონ მიუსადაგონ ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს, ვინაიდან წინაამღდეგ შემთხვევაში ვალდებულება არ შესრულდება, რაც შეიძლება ორივე მხარისთვის არასასურველი შედეგით დასრულდეს. სწორედ ამიტომ, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის მთავარი მიზანია, რომ მხარეებმა უზრუნველყონ მხარეთა ინტერესთა ბალანსი და სახელშეკრულებო თანასწორობა, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას ემსახურება.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნება შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე და შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების პრობლემატური საკითხები, რომლებსაც ვხვდებით ქართულ კანონმდებლობაში, განხილული იქნება მათი გადაჭრის გზები კონტინენტური და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციების მაგალითზე.

Abstract

An agreement is an integral part of life of each person, and the main commitment of each party is to fulfill the conditions of the agreement properly and in good faith. However, despite willingness of the parties to perform obligations under the contract honestly, circumstances having a substantial effect on the performance of the obligation which could not be foreseen by the parties by the time of signing the contract may always arise.

The parties should negotiate the process of substantial change of circumstances and try to adapt the contract to these changes, as otherwise the obligation will not be performed and it can lead both parties to undesirable results. That is why the main aim of the institute of changed circumstances is that parties should provide the balance of interests and contractual equality of the parties, which serves to stabilize civil circulation.

In frames of the given masters degree work the effect of changes circumstances on the contractual relationships and the problematic issues of Georgian legislation connected with adaption of the contract will be reviwed with the ways of the issues according the example on Continental an Anglo-American law.

შინაარსი

I.შესავალი 6
II. სახელშეკრულებო ურთიერთობათა არსი 10
1.1 ხელშეკრულების ცნება 10
1.2 ხელშეკრულების სახეები 12
1.3 ხელშეკრულების არსებითი პირობები 13
III. მხარეთა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა 16
1. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობები 17
1.1 ქმედების მართლწინაამღდეგობა 17
1.2 ზიანი 18
1.3 მიზეზობრივი კავშირი 20
1.4 ბრალი 20
2. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები 23
IV. შეცვლილი გარემოებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი 26
1. შეცვლილი გარემოებების არსი კონტინენტური სამართლის ქვეყნებში .. 26
2.შეცვლილი გარემოებების არსი ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში 37
3.შეცვლილი გარემოებების რეგულირება UNIDROIT-ის და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებით 42
V. გარემოებების არსებითი ცვლილებების წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები 46
1. შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი წინაპირობები 46
2. ხელშეკრულებიდან გასვლა გარემოებების არსებითი ცვლილებებისას .. 54
2.1 ხელშეკრულებაზე უარის თქმის არსი 55
2.2 შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები 59
3. ხელშეკრულების პირობების „მკაცრად არ დაცვის“ შესაძლებლობა 61
VI. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების არსი და მნიშნელობა 63
1. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების არსი 63
2.გარემოებების არსებითი ცვლილება და შესრულების შეუძლებლობა 65
3. გარემოებების არსებითი ცვლილება და დაუძლეველი ძალა 68
დასკვნა 71
ბიბლიოგრაფია 75

შესავალი

სამოქალაქო სამართლის მიზანია უზრუნველყოს სამოქალაქო ურთიეთობების სუბიექტთა თავისუფლება და თანასწორობა. სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებისას ცენტრალური მნიშნელობა ხელშეკრულებებს ენიჭებათ. სახელშეკრულება პირობების შესრულება უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას და სახელშეკრულებო წონასწორობას. ვალდებულება უნდა შესრულდეს (Pacta sunt servanda),[1] სწორედ აღნიშნული პრინციპი არის ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველი.

მას შემდეგ, რაც მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე, ისინი კეთილსინდისიერად უნდა შეუდგნენ ნაკისრი უფლება-მოვალეობების შესრულებას. სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობა დაკავშირებულია მრავალ რისკთან, მათ შორის გარემოებების არსებით შეცვლასთან. ამასთანავე, რაც უფრო გრძელვადიანია ხელშეკრულება, მით უფრო იზრდება გარემოებების შეცვლის ალბათობა.

მხარეებს, ხელშეკრულების დადებისას არ შესწევთ უნარი წინასწარ განსაზღვრონ ყველა მოვლენა და გარემოება, რომელსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკრი ვალდებულების შესრულებაზე. სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის აუცილებელია სამოქალაქო კანონმდებლობაში ისეთი ინსტიტუციის არსებობა, როგორიც არის ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ინსტიტუტი.

არასტაბილური სამოქალაქო ბრუნვის პირობებში, რომელზეც მნიშნელოვან გავლენას ახდენს ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ხელშეკრულების მისადაგების სრულყოფილ საკანონმდებლო რეგულირებას განსაკუთრებული მნიშნელობა აქვს.

[1] ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ მუხლი 26, ქ.ვენა, 1969 წ.23 მაისი

შეცვლილი გარემოებების ინსიტიტუტმა, რომელიც ცნების clausula rebus sic stantibus გამოხატულებაა, საქართველოს კანონმდებლობაში ადგილი დაიმკვიდრა მას შემდეგ რაც, საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 26 ივნისს მიიღო ახალი სამოქალაქო კოდექსი,[2] რომლითაც პირველად დარეგულირდა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საკითხი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების წესს, 398-ე მუხლი აწესრიგებს [3], რომელიც აყალიბებს გარემოებებს და ობიექტურ პირობებს, რომელთა არსებობაც საჭიროა აღნიშნული მუხლის რეალიზაციისთვის. თუმცა აღნიშნული მუხლის ანალიზი მიუთითებს მის არაერთ ხარვეზზე. ეს ხარვეზები კი, არ აძლევს ხელშეკრულების მხარეებს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მოაწესრიგონ მათ შორის წარმოშობილი სადავა საკითხი, რაც თავისთავად სასამართლოს დატვირთვას უწყობს ხელს.

სწორედ ზემოაღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა, აღნიშნული თემის არჩევა სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტად.

ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტი და ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც გარემოებების არსებით ცვლილებას მოჰყვება. ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, ის რომ გამოკვეთილ იქნეს შეცვლილი გარემოებების ძირითადი კრიტერიუმები და პირობები; გამოკვლეულ იქნეს მათი ფუქნციები და მნიშნელობა სახელშეკრულებო ურთიერთობებში; ხაზი გაესვას საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს და წარმოდგენილ იქნეს ამ ხარვეზების გამოსწორების გზები. ამ მიზნის მისაღწევად შემდეგი ამონაცენები წამოიჭრა:

---

[2] ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხუცურიანი ჯ., სსკ-ის კომენტარი წ. III თბილისი, 2001, გვ.400

[3] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი.

1) შეცვლილი გარემოებების ტერმინოლოგიური განმარტება, განსხვავებული სამართლებრივი სისტემის ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე;

2) შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც აწესრიგებს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების და მისი პრაქტიკაში გამოყენების საკითხს;

3) შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობის შემთვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის თავისებურებების განხილვა;

თემის აქტუალურობას განაპირობებს ის, რომ საქართველოში ცვალებადი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება პირდაპირი გზით აისახება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მდგომარეობაზე. თითქმის თითოეული ადამიანი არის შებოჭილი ამა თუ იმ სახელშეკრულებო ურთიერთობით, ამიტომაც აუცილებელია, რომ ცვალებადი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული.

კვლევა ეფუძნება სასამართლო პრაქტიკის ანალიზს, გამოყენებულია აღწერილობითი, ანალიტიკური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

ნაშრომი შედგება შესავლის, დასკვნის, ხუთი თავისა და 20 ქვეთავისგან. ნაშრომის პირველი თავი ეხება სახელშეკრულებო ურთიერთობების ზოგად მიმოხილვას; მეორე თავი - მხარეთა სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას და სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების წინაპირობებს; მესამე თავი - კონტინენტური ევროპის და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების შეცვლილი გარემოებების მარეგულირებელი კანონმდებლობა; მეოთხე თავი - ეთმობა გარემოებების არსებითი ცვლილების წინაპირობებს და მათგან მომდინარე სამართლებრივ შედეგებს; მეხუთე თავი - ეხება შეცვლილი გარემოებების არსსა და მნიშნელობას და

შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტუტის ურთიერთმიმართებას ვალდებულებით-სამართლებრივ ინსიტუტებთან, როგორებიცაა შესრულების შეუძლებლობა და ფორს-მაჟორი.

I. სახელშეკრულებო ურთიერთობათა არსი

1.1 ხელშეკრულების ცნება

სანამ დეტალურად მომოვიხილავთ შეცვლილი გარემოებების არსაა და მის გავლენას სახელშეკრულებო ურთიერთობებზე, თავდაპირველად მნიშნელოვანიაა განხივილოთ სახელშეკრულებო ურთიერთობათა არსი, თუ რას წარმოადგენს ხელშეკრულება თავისი იურიდიული ბუნებით და მისი შემადგენელი კომპონენტები, რომლებზეც პირდაპირი გავლენა აქვს შეცვლილ გარემოებებს.

ხელშეკრულება, როგორც ერთ-ერთი სამართლებრივი ინსტიტუტი, ყოველთვის იყო სამეცნიერო კვლევების უმნიშვნელოვანესი ობიექტი, რაც განაპირუბებული იმით, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის ძირითად საფუძველს. როგორც ასეთი ხელშეკრულების ცნების განმარტებას საკანონმდებლო დონეზე იშვიათად თუ შევხვდებით, მაგრამ მისი შემადგენელი ელემენტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ხელშეკრულების ცნება ამგვარად წარმოვიდგინოთ: ხელშეკრულება არის - ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების და ვალდებულებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ.[4] [5]

როგორც ნებისმიერი გარიგების, ხელშეკრულების დადებაც ნებაყოფლობითი მოქმედებაა. მაგრამ ამ ნებაყოფლობით მოქმედებას ახასიათებს სპეციფიური თავისებურებანი. ხელშეკრულება წარმოადგენს ერთი ან მეტი პირის ერთიანი ნების გამოხატვის ფორმას. იმისათვის რომ, ეს ერთიანი ნება ხელშეკრულებაში იყოს ჩამოყალიბებული და

---

[4] სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გიორგი ჯუღელის რედაქტირებით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 87

[5] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 50-ე მუხლი.

დაფიქსირებული, მხარეები ხელშეკრულების დადებისას უნდა იყვნენ თავისუფალნი ყოველგვარი ზეგავლენისაგან. ხელშეკრულების დადების თავისუფლების გამოვლინებაა, სუბიექტის უფლება საკუთარი ინტერესის მიხედვით დადოს ხელშეკრულება, აირჩიოს კონტრაჰენტი, თავისუფლად განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი და ფორმა, უარი თქვას სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელებაზე.[6][7]

ხელშეკრულებისთვის არ არის დადგენილი განსაკუთრებული ფორმის დაცვლის აუცილებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლი ადგენს, რომ გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. ეს ზოგადი დანაწესი ხელშეკრულების ფორმაზეც ვრცლედება.[8] ხელშეკრულება შესაძლოა კონკლუდენტური მოქმედებითაც იქნეს დადებული. კონკლუდენტურ მოქმედებაში იგულისხმება მოქმედება, რომლიდანაც ნათელია პირის ნება დადოს ესა თუ ის გარიგება, მაგრამ ამავე დროს არანაირ სიტყვიერი შეთანხმებას არ აქვს ადგილი.[9]

ზეპირი ფორმა წარმოადგენს ნების გამოხატვას ზეპირი შეთანხმების გზით. კონკლუდენტური მოქმედებით და ზეპირი ფორმით შესაძლებელია დაიდოს ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლისთვისაც კანონი არ განსაზღვრავს წერილობითი ფორმის დაცვის აუცილებლობას.

წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება შეიძლება იყოს მარტივი და ნოტარიულად დამოწმებული.[10] მარტივი წერილობითი ფორმის გზით შედგება დოკუმენტი, რომელზეც ასახულია შეთანხმებული პირობების

---

[6] ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში; სტატია, ჟურნ., მართლსაჯულება და კანონი, #3(26)/10, 22-23

[7] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი

[8] სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გიორგი ჯუღელის რედაქტირებით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 88-91

[9] ბაღიშვილი ე.,, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.08.2016 მუხლი 328, ველი 3

[10] ბაღიშვილი ე.,, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.08.2016 მუხლი 328, ველი 5

და იგი ხელმოწერილია მხარეთა მიერ. მარტივი წერილობითი ფორმა დაცულია მაშინაც, თუ ერთი მხარის წინადადებაზე ხელშეკრულების დადების თაობაზე, მეორე მხარე ასრულებს შემოთავაზებულ პირობას, ე.ი ახორციელებს კონკლუდენტურ მოქმედებას, რომელიც ადასტურებს მის ნებას დადოს ხელშეკრულება შემოთავაზებული პირობებით.[11]

ნოტარიულად დამოწმებულ ხელშეკრულებას ახასიათებს ის, რომ მხარეები ხელს აწერენ ერთობლივ წერილობით დოკუმენტს, რითაც ამტკიცებენ ხელშეკრულების შინაარს, უფლებამოსილი პირის - ნოტარიუსის თანდასწრებით, რომელიც ადასტურებს მხარეთა ვინაობას, მათ ქმედუნარიანობას და ამტკიცებს არსებულ შეთანხმებას, რომელსაც შემდგომ შესაბის რეესტრში ასახავს. ხელშეკრულების ნიტარიულად დამოწმება სავალდებულოა კანონით დადგენილ შემთხვევებში, ასევე მაშინ როდესაც მხარეები თვითონ შეთანხმებით განსაზღვრავენ მის ფორმასავალდებულობას.[12]

1.2 ხელშეკრულების სახეები

როგორც უკვე აღინიშნა, ხელშეკრულება არის ხელშეკრულება არის - ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების და ვალდებულებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ და წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს.

იმის მიხედვით, თუ როგორ არის მხარეთა შორის განაწილებული უფლებები და ვალდებულებები, ხელშეკრულებების იყოფა ცალმხრივ და ორმხრივ (მრავალმხრივ) ხელშეკრულებებად. ცალმხრივია ისეთი

[11] ბაღიშვილი ე.,, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 18.08.2016 მუხლი 328, ველი 3

[12] Румынина В.В., Прававое обеспечение профессиональной деятельности- учебник для студ.проф.учеб. заведений, Издательский центр “Академия”, 2006 , 192

ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ერთი მხარე იძენს მხოლოდ უფლებებს, ხოლო მეორე მხარეს მხოლოდ მოვალეობები აქვს. ორმხრივ (მრავალმხრივ) ხელშეკრულებაში, მხარეებად ორი ან ორზე მეტი პირი გამოდის და თითოეულ მხარეს ერთდროულად აქვს უფლებების და მოვალეობებიც.[13]

იმის მიხედვით, თუ რომელი მომენტიდან ითვლება ხელშეკრულება დადებულად, ხელშეკრულებები იყოფა კონსესუალურ და რეალურ ხელშეკრულებებად. კონსესუალურია ხელშეკრულება, რომელიც დადებულად ითვლება მხარეთა შორის დადგენილი ფორმით შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. რეალურია ისეთი ხელშეკრულება, რომლის დასადებად მხოლოდ მხარეთა შეთანხმება საკმარისი არ არის - აიცულებელია ასევე ერთი მხარის მიერ მეორესათვის ხელშეკრულების საგნის ფაქტობრივი გადაცემა. იმის გათვალისწინებით, არსებობს თუ არა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისთვის მეორე მხარის მიერ ვალდებულების სანაცვლო შესრულება, განასხვავებენ სასყიდლიან და უსასყიდლო ხელშეკრულებებს. სასყიდლიანია ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ერთი მხარე მის მიერ შესრულებული ქმედებისთვის იღებს მეორე მხარისგან შემხვედრ დაკმაყოფილებას. ხელშეკრულებატა უმრავლესობა სასყიდლიანია. უსასყიდლოა ხელშეკრულება, როდესაც ერთი მხარე მის მიერ შესრულებული მოქდებისთვის არ იღებს სამაგიერო დაკმაყოფილებას.[14]

1.3 ხელშეკრულების არსებითი პირობები

[13] სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გიორგი ჯუღელის რედაქტირებით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 96-101

[14] Румынина В.В., Прававое обеспечение профессиональной деятельности, учебник для студ.проф.учеб. заведений, издательский центр “Академия”, 2006, 200

ხელშეკრულების არსებითი პირობების განხილვის მიზანია იმას ემსახურება, რომ სწორედ შეცვლილი გარემოებების გავლენა ყველაზე მეტად ხელშეკრულების არსებით პირობებზე აისახება. სწორედ ამ პირობების მისადაგება შესაძლებელია გახდეს აუცილებელი შეცვლილი გარემოებებისადმი ან/და შეცვლილი გარემოებების გამო სწორედ აღნიშნული პირობების შეუსრულებლობა შესაძლებელია გახდეს ხელშეკრულების მოშლის მთავარი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეების მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.“ ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც არსებითად მიჩნეულია კანონის მიერ“.[15]

კანონი არ განსაზღვრავს არსებითი პირობების ჩამონათვალს, ვინაიდან არსებითი პირობები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა მიერ განისაზღვრება. ხელშეკრულების არსებით პირობებად მიიჩნევა:

- ხელშეკრულების საგანი, ვინაიდან თუ იგი არ არის განსაზღვრული, შეუძლებელია ხელშეკრულების გაფორმება;
- ის პირობები, რომლებიც კანონით ან სხვა ნორმატიული აქტებით მიჩნეულია ხელშეკრულების არსებით პირობად;
- პირობები, რომლებიც ამა თუ იმ ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელია;
- ყველა ის პირობა, რომლებზეც მხარეთა მიერ შეთანხმება უნდა იქნება მიღწეული.[16]

---

[15] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი

[16] Е.В.Иванова, Договорное прво, Том 1,Общая часть, Москва,2017, 69-75

ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამოყალიბებით, მხარეები მაქსიმალურად უნდა შეეცადნონ, რომ მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობისთვის დამახიათებელი პირობა ასახონ ხელშეკრულებაში. მხარეთა მიერ განსაზღვრული პირობების დაუცველობა, იწვევს ხელშეკრულების დარღვევას, რასაც შედეგად სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოჰყვება. დღესდღეისობით თითქმის ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს დათქმებს, რომელშიც გაწერილია დაუძლეველი ძალის აღმოცენის შემთხვევები, პირობები რომლებიც გაათავისუფლებენ მხარეებს ვალდებულების შესრულებისგან და მოქმედებები, რომლებიც მხარეებმა უნდა განახორციელონ, რომ ხელშეკრულება დარღვეულად არ ჩაითვალოს. მაგრამ იშვიათად თუ შევხვდებით ხელშეკრულების ისეთ პირობას, რომელიც ითვალისწინებს გარემოებების არსებითი ცვლილებებისას მხარეების უფლება-მოვალეობების შეცვლის შესაძლებლობას.

შემდგომ თავში განხილული იქნება მხარეთა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, მისი წინაპირობები და ხელშეკრულების მხარეებისთვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი ისეთი გარემოებებების აღმოცენისას, რომლის გათვალისწინებაც მათ არ შეეძლოთ ხელშეკრულების დადების დროს, მაგრამ ისინი არსებით გავლენას ახდენენ მხარეების უფლება-მოვალეობებზე, რითაც ირღვევა ხელშეკრულების არსებითი პირობების შესრულების ვალდებულება.

III. მხარეთა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა

ხელშეკრულება, წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის ყველაზე ძირითად საფუძველს.[17] სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის საფუძველზე, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.[18] მიუხედავად, კანონის ამგვარი დანაწესისა, ვალდებულების დარღვევა ხელშეკრულების თანმდევი რისკია. სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოჰყვება. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა წარმოადგენს სანქციას, რომელიც დამრღვევისთვის ნეგატიურ შედეგებს იწვევს, კერძოდ, ქონებრივი ან პირადი უფლებების შეზღუდვას ან/და დამატებითი სამოქალაქო - სამართლებრივი ვალდებულებების დაკისრებას.[19]

სამოქალაქო - სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ქონებრივი ხასიათის მატარებელია, ვინაიდან მისი გამოყენება ყოველთვის დაკავშირებულია ზიანის ანაზღაურებასთან, ჯარიმის გადახდასთან. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა ერთი კონტრაჰენტისა მეორეს წინაშე, (ანუ) სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობა, დაზარებულის წინაშე. პასუხისმგებლობის მიზანია- დაზარებულის უფლებების აღდგენა ან/და მიყენებეული ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება არა ყოველი ქმედებისთვის, რომელიც სამოქალაქო სამართალდარღვევის ნიშნებს შეიცავს. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების

---

[17] სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გიორგი ჯუღელის რედაქტირებით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014,

[18]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი

[19] Каменецкий Д.В., Договорная ответственност в гражданском праве, диссертация, Екатеринбург, 2001

საფუძველია, სამოქალაქო უფლებების ისეთი დარღვევა, თუ არსებობს ზინის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, რომელთა ერთობლიობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალდარღვევას, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, ის მიყენებულია მართლსაწინაამღდეგო მოქმედებით, მორთლასაწინაამღდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და თუ ზიანის მიმყენებს მიუძღვის ბრალი.[20]

1.სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაპირობები

1.1 ქმედების მართლწინაამღდეგობა

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის ქმედება მართლსაწინაამღდეგოა. ამიტომაც, მართლწინაამღდეგობის ელემენტის არსებობა აუცილებელია. [21]მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონმა შეიძლება დააკისროს პირებს პასუხისმგებლობა, ვისი ქმედებაც მართლზომიერია, მაგალითად აუცილებელი მოგერიების და უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში.[22]

მართლსაწინაამღდეგოდ მიიჩნევა ქვედება, თუკი ის:

- არღვევს, კანონით დადგენილი ნორმის დანაწესს. სახელშეკრულებო სამართლის ნორმები დისპოზიციული ხასიათისაა, რომლებიც მხარეებს ქმედების თავისუფლებას ანიჭებს. თეორილად ასეთი ნორმების დარღვევა შეუძლებელია. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ მართლსაწინაამღდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედებები, რომლებიც კანონის იმპერატიულ დანაწესს არღვევს;

---

[20]ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1,2009

[21] Каменецкий Д.В., Договорная ответственност в гражданском праве, диссертация, Екатеринбург ,2001

[22] სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გიორგი ჯუღელის რედაქტირებით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014, 685

- მართლწინაამღდეგობის ცნება სამოქალაქო სამართალში უფრო ფართოა, ვიდრე სამართლის სხვა დარგებში. საქმე იმაშია, რომ სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით, მართლსაწინაამღდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც ეწინაამღდგება ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულებით არის განსაზღვრული, ანუ არღვევვს უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც თვით მხარეებმა განსაზღვრეს;
- იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოიშობა ურთიერთობები, რომლებიც კანონით არ არის რეგულირებული, ქმედების მართლწინაამღდეგობა უნდა შეფასდეს სამოქალაქო სამართლის საფუძვლებისა და დამკვიდრებული ჩვეულებების საფუძველზე.[23]

1.2 ზიანი

ქონებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ზიანის არსებობა. თუ არ არსებობს ზიანი, ვერც ქონებრივი პასუხისმგებლობა იარსებებს. ვინაიდან ზიანი არის ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ამოსავალი წერტილი.[24]

ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ეს უარყოფითი შედეგი შეიძლება გამოიხატებოდეს შემდეგ დანაკარგებში: ხარჯები, რომელიც უფლებადარღვეულმა გასწია ან უნდა გასწიოს დარღვეული უფლების აღსადგენად; ქონების დაკარგვა ან/და დაზიანება და სხვა. ზიანის ცნება საკმაოდ რთული დასადგენია. ზოგიერთი მართლწესრიგი და მის საზღვრებში განვითარებული სასამართლო პრაქტიკა უარს ამბობს ზიანის ზოგადი ცნების ჩამოყალიბებაზე. ფრანგული სასამართლოები

---

[23] ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1,2009

[24] Каменецкий Д.В., Договорная ответственност в гражданском праве, диссертация, Екатеринбург, 2001

მიუთითებენ, რომ ზიანი უნდა იყოს განსაზღვრული და კონკრეტულ პირზე მიმართული. [25]

ზიანის, როგორც „ნებისმიერი უაყოფითი შედეგის“ ზოგადი და აბსტრაქტული დეფინიცია იმიტომ არის საჭირო, რომ მისი ობიექტური და ადექვატური განმარტება მოხდეს, ყოველ კონკრეტულ საქმეში არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით. რადგან ზიანის ცნების საჭიროებას სასამართლო პრაქტიკა ყოველდღიურად ადასტურებს. სამოქალაქო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს.სახელშეკრულებო ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობით. არასახელშეკრულებლოდ ითვლება ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, რომლის დროსაც მხარეები არ იყვნენ ერთმანეთთან ვალდებულებით ურთიერთობაში. მაგ: ქონებრივი და არაქონებრივი (მორალური) ზიანი; საკონპენსაციო და მორატორიული ზიანი, რეალური (დადებითი) ზიანი და მიუღებელი შემოსავალი, პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანი.[26]

ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს.

---

[25] Коновалов.С.А., Основание гражданско-прававой ответственности, диссертация, Москва, 2006

[26]ჩოხელი ნ., ზიანის ანაზღაურების ვალდებულება“, ჟურნალი სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 5/2002-4

1.3 მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინაამღდეგო ქმედებასა და ზიანის მომტან შედეგს შორის - არის აუცილებელი, ობიექტურად არსებული მოვლენების კავშირი (მიზეზი და შედეგი), რომელიც შემდეგნაირად ხასიათდება:

- ამ ორი მოვლინიდან ერთი (მიზეზი) ყოველთვის წინ უძღვის მეორეს (შედეგს) ;
- შედეგი, მიზეზის მოქმედების შედეგია. მიზეზი - უფრო ვიწრო ცნებაა: ეს არის მოვლენა, რომელიც მისთვის დამახაიათებელი თვისებებიდან გამომდინარე იწვევს შედეგს;
- მიზეზობრივი კავშირი ობიექტური მოვლენა, რაც გულისმოხბს იმას რომ ის ყველა ანალოგიურ პირობაში ერთსა და იმავე შედეგზე გადის[27] შესაბამისად, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მიზეზობრივ კავშირია მართლსაწინაამღდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგთან.

1.4 ბრალი

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობაში ვერ შევხვდებით ბრალის განმარტებას, მაგრამ იგი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი მნიშნელოვანი ელემენტია.[28]ელემენტია.ბრალი წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტურ პირობას, რომელიც წარმოადგენს სამართალდამრღვევის დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და შედეგისადმი. სამოქალაქო სამართლებრის პასუხისმგებლობის წინაპირობებზე

---

[27]Коновалов.С.А, Основание гражданско-прававой ответственности, диссертация, Москва, 2006

[28] ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1,2009

მსჯელობისას, ყველაზე დიდი მნიშნელობა ბრალის ელემენტს ენიჭება, ვინაიდან შეიძლება ითქვას რომ ბრალის არსებობა წვეტს პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს.[29]

სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის თანახმად,მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისთვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.[30] აღნიშნული დანაწესი მიუთითებს იმაზე, რომ პირს პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ მის მიერ წინასწარი შეცდობით ჩადენილი გადაცდომისთვის, არამედ იმ შემთხვევისთვისაც როდესაც იგი წინასწარ ვერ შეიცნობს მისი ქმედების მართლსაწინაამრდეგო ხასიათს.

სამოქალაქო სამართალში მოქმედებს ბრალეულობის არსებობის პრეზუმფცია. კერძოდ, ბრალის არარსებობა უნდა დაამტკიცოს პირმა, რომელმაც ვალდებულება დაარღვია. პირის ბრალეულობა ვალდებულების დარღვევისას ივარაუდება მანამდე,სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება.[31]

სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას- განზრახვასა და გაუფრთიხილებლობას. სამოქალაქო სამართალდარღვევა ითვლება გაზრახ ჩადენილად, თუ დამრღვევი ითავისებდა მისი ქმედების მართლსაწინაამღდეგო ხასიათს, ითვალისწინებდა მის შედეგად დამდგარი უარყოფითი შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ან/და შეგნებულად უშვებდა მისი დადგომის შესაძლებლობას. სამოქალაქო სამართალდარღვევა გაუფრთხილებლად ჩადენილად ითვლება მაშინ, როდესაც დამრღვევი არ ითვალისწინებდა მისი ქმედების შედეგად დამდგარი ნაგატიური შედეგის დადგომის შესაძლებლობას ან/და

[29]ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშნელოვბა სახელშეკრულებ პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი N1, 2009

[30] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლი

[31] ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1,2009

ითვალისწინებდა, მაგრამ არ მიიღო შესაბამისი ზომები, რათა თავიდან აეცილებინა ეს შედეგები.[32]

სამოქალაქო სამართალში, მიუხედავად პირის დამოკიდებულებისა მის მიერ ჩადენილი დარღვევისადმი, განზრახ იყო ის ჩადენილი თუ გაუფრთხილებლად არსებითი მნიშნელობა არ აქვს, ვინაიდან მისი პასუხისმგებლობა მაინც იმ ოდენობით დგინდება, თუ რამხელა ზიანი მიადგა ხელშეკრულების მეორე მხარეს.

ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან გამომდინარე ნათელია, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია, რომ არსებობდეს მისი წინაპირობების (ქმედების მართლწინაამღდეგობა, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი, ბრალი) ერთობლიობა, რომელთა შორის საგამონაკლისოა ბრალი, ვინაიდან ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა, ასევე იცნობს პირის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებს.საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე ისეთი გარემოებების აღმოცენას განსაზღრავს, რომლებიც მხარის კონტროლის სფეროს მიღმაა და რომლებზეც ზემოქმედება კონტრაჰენტებს არ შეუძლიათ, რაც მათ არაბრალეულობას განსაზღვრავს, [33] მაგრამ მიუხედავად პირის არაბრალეულობისაა, სამოქალაქო კოდექსის ეს მუხლი ითვალისწინებს პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას, რაც გარემოებების არსებითი ცვლილებისას ხელშეკრულებაზე უარის თქმაში გამოიხატება. შეცვლილი გარემოებებისასას სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას განაპირობებს, ის რომ აღნიშნულ შემთხვევაში არ აქვს მნიშნელობა სიბუექტზე მიბმულ ფაქტორებს და ადგილი აქვს ობიექტურ ჰდომილებას,

---

[32] Коновалов.С.А, Основание гражданско-прававой ответственности, диссертация, Москва, 2006

[33] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-მუხლი

რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით გავლენას ახდენს მხარეთა უფლებებზე და მოვალეობებზე.

2. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები

ზოგადი წესის მიხედვით, თუ ვალდებულება რჩება შეუსრულებელი, მაგრამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები არ არსებობს, მოვალე რომელიც დაამტკიცებს ამ გარემოებებს თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.სამოქალაქო-სამართლებრივიპასუხისმგებლობისგანგანთავისუფლების საფუძველი შეიძლება იყოს პირის ქმედების მართლზომიერი ხასიათი და მიზეზობრივი კავშირის არ არსებობა პირის ქმედებასა და დამდგარ ხელშეკრულებიდან გასვლა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, წარმოადგენს შედეგს შორის.[34]ზიანი, რომელიც მიყენებულია მართლზომიერი ქმედების შედეგად, არ ექვემდებარება ანაზღაურებას. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება პირი, თუკი მას ვალდებლების დარღვევაში არ მიუძვის ბრალი. პირს არ შეიძლება დაეკისროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მიერ არაბრალეული ქმედების ჩადენისთვის, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც კანონი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებს ითვალისწინებს.[35] სწორედ შეცვლილი გარემოებების გამო სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მაგალითს, მაშინ როდესაც პირის ბრალეულობა არ იკვეთება, მაგრამ პასუხისმგებლობის საკითხი მაინც დგება.

---

[34]Каменецкий Д.В., Договорная ответственност в гражданском праве, диссертация, Екатеринбург ,2001

[35]ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშნელოვბა სახელშეკრულებ პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი N1, 2009

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების უნივერსალური საფუძველია დაუძლეველი ძალა. [36]ტერმინი „დაუძლეველი ძალა“ განიმარტება როგორც მოვლენები, რომლებიც მხარეთა კონტროლს მიღმაა და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ვალდებულების შეუსრულება ითვლება საპატიოდ ევროპული სამართლის ძირითადი დებულებების თანახმადაც იმ შემთხვევაში თუ ის დაამტკიცებს, რომ შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი წინაამღდეგობით და ხელშეკრულების დადების მომენტში მისი გათვალისწინება, წინაამღდეგობის ან მისი შედეგების თავიდან აცილება თუ დაძლევა, გონივრული თვალსაზრისით მას არ მოეთხოვებოდა (8:108 მუხლი).[37]მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას მის მტკიცების ტვირთში შედის ის გარემოება, რომ მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით. თუ არასასურველი შედეგი, გამოწვეული დაუძლეველი ძალით, დადგა მოვალის ქმედების შედეგად, რომელმაც არ გამოიჩინა შესაბამისი წინდახედულება და ზრუნვა, რომელიც მას ევალებოდა, მოვალე ვერ იქნება გათავისუფლებული პასუხისმგებლობისგან. თითქმის ყველა სამართლის ქვეყანაში დაუძლებელი ძალის საერთო მახასიათებლებს წარმოადგებს: 1) აღნიშნული გარემოებების გაუთვალისწინებლობა ხელშეკრულების დადებისას; 2) გარემოებების უკიდურესებობა; 3) დაუძლებელი ძალით გამოწვეული გარემოებების აღმოჩენა ხელშეკრულების დადების შემდგომ; 4) მიზეზობრივი კავშირის არსებობა დაუძლებელ ძალასა და ხელშეკრულების

[36]ხუციშვილი ო., სისვაძე მ., ტოხოსაშვილი მ., ფორს-მაჟორის და „Hardship”- ის ცნება უნიფიცირებულ სახელშეკრულებო ნორმებში და მათი ანალოგი ქართულ სამართალში, თბილისი 2017

[37]ბზეკალავა ე., ჭალიძე თ., ცერცვაძე ა., გეგენავა დ., ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები , თარგმანი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

შეუსრულებლობასთან; 5) პასუხისმგებლოსბიგან გათავისუფლება გარემოებების გავლენის მთელი პერიოდის განმავლობაში.[38]

როგორც უკვე აღინიშნა შეცვლილი გარემოებების გავლენით ვალდებულების დარღვევისას, პირის ბრალეულობა არ იკვეთება, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ გარემოებებს, რომელზეც მხარეებს გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ. ერთი შეხედვით დაუძლეევენ ძალასა და შეცვლილ გარემოებებს შორის ძაან ვიწრო ზღვარი გადის. მათ შორის არსებულ სხვაობებზე და მიმდინარე სამართლებრივ შედეგებზე შემდეგ თავებში იქნება საუბარი.

შეცვლილი გარემოებების გავლენით სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი და თვითონ შეცვლილი გარემოებების არსი ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებსა და კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში განსხვავდება. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში შეცვლილი გარემოებები და დაუძლეველი ძალა განსხვავებულ ინსტიტუტებს წარმოადგენს, ხოლო ანგლო-ამერიკულ სამართლებრივი დოქტრინა „ხელშეკრულების ამაოობის“ მიმდევარია, რომელიც თავისთავში მოიაზრებს როგორც დაუძლებელი ძალის შემთხვევებს, ასევე შესრულების შეუძლებლობას და გარემოებების არსებით ცვლილებას.

[38] Каменецкий Д.В., Договорная ответственност в гражданском праве, диссертация, Екатеринбург ,2001

III. შეცვლილი გარემოებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

იმისათვის, რომ ქართულ საკანომდებლო სივრცეში შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემები გამოსწორდეს მიმაჩნია, რომ უნდა გამოკვლეულ იქნეს შეცვლილი გარემოებების მომწესრიგებელი წესები კონტინენტური სამართლის და ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში და ამ ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზის საფუძველზე მოხდეს ჩვენს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების შევსება.

1.შეცვლილი გარემოებების არსი კონტინენტური სამართლის ქვეყნებში

რომის სამართალში ხელშეკრულების სტაბილურობა წარმოადგენდა სახელშეკრულებო სამართლის უმთავრეს პრინციპს. აღნიშნულის მიდგომა განაპირობებდა ხელშეკრულების შესრულების მტკიცე ვალდებულებას მისი დადების მომენტიდან. მაგრამ ამისდა მიუხედავად, პრაქტიკაზე ნათელი გახდა, რომ აღნიშნული მიდგომა სამართალურთიეთობაზე არც თუ ისეთ დადებით ზეგავლენას ახდენდა.[39]

რომის სამართალში არსებობდა „შემთხვევის“ ცნება, რომლის აღმოჩენის დროს მოვალე აგებდა პასუხს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას ამაში ბრალი მიუძღვოდა ან/და მოხდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება. [40] სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე რომაული იურისტები

[39]Очхаев Т.Г, Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств, Москва,2015 г.

[40] Барон.Ы , Система римского гражданского права, Выпуск 3, Книга 4. Обязательное право, Санк-Петербург, 1910

მიდიოდნენ დასვკვნამდე, რომ შესაძლებელი იყო ხელშეკრულების ზოგიერთი პირობის შეცვლა „შემთხვევის“ აღმოჩენის შემთხვევაში. მაგრამ „შემთხვევის“ დადგობის შემთხვევაშიც (ჩვეულებრივი შემთხვევა ან/და დაუძლებელი ძალა) მხარეები ძველი რომის სამართლის მიხედვით ვალდებულნი იყვნენ შეესრულებინათ ხელშეკრულება, ანუ არც ერთი მხარე არ თავისუფლდებოდა სახელშეკრულებო ვალდებულებისგან. მაგრამ იმ დროის მეცნიერები ხვდებოდნენ, რომ უნდა დარეგულირებულიყო საკითხი როდესაც ობიექტური გარემოებები აშკარად წინაამღდეგობაში მოდიოდა მხარეთა ნებასთან. აღნიშნულ შემთხვევაში ხელშემკვრელ მხარეს შეეძლო შეეწყვეტა ხელშეკრულება, მხოლოდ მაშინ როდესაც გარეფაქტორები პირდაპირ გავლენას ახდენდა მხარეს მოლოდინებზე. ამ გზით აღიარებულ იქნება ობიექტური ფაქტორების როლი clausula rebus sic stanbibus-ის დოქტრინის გამოყენებისას.[41] შესაბამისად ხელშეკრულების მხარეს შეეძლო მოეთხოვა ხელშეკრულების შეცვლა/ მოშლა, მხოლოდ მაშინ თუ: ა) ხელშეკრულების მხარე არ შევიდოდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში, თუ ახლად აღმოჩენილი გარემოებები მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტში იქნებოდნენ ცნობილი; ბ) მხარე, რომელიც ითხოვს ხელშეკრულების მოშლას/ შეცვლას არ არის პასუხისმგებელი ახლადაღმოჩენილი გარემოების არმოჩენისთვის და ვ) მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ გაეთვალისწინათ ან თავიდან აერიდებინათ აღნიშნული გარემოებები.[42] დროის განმავლობაში აღნიშნული მიდგობა დამკვიდრდა ევროპის ქვეყნების არაერთ საკანონმდებლო აქტში.

საფრანგეთის თანამედრო სამყაროში წარმოადგენა თითქმის ერთადერთ განვითარებულ ქვეყანას, რომლის სამოქალაქო კანონმდებლობა არ ადგენდა რაიმე კონკრეტულ წესს ან მითითებას შემთხვევებზე, როდესაც

---

[41]ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშნელოვბა სახელშეკრულებ პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი N1, 2009

[42] Unexprected Circumstances in European Contract Law, Cambridge University 2011

ხელშეკრულების შესრულება რთულდებოდა შეცვლილი გარემოებების გამო.[43]საფრანგეთის სასამართლოები ცნობილნი იყვნენ თავიანთი მკაცრი დამოკიდებულებით პრინცინციპისადმი *pacta sunt servanda.* აღნიშნულის მიდგომა ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ ამით უზრუნველყოფილი იყო სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოება და სტაბილურობა; რომ მხარეებს ხელშეკრულებაშივე განესაზღვრათ ყველა მოსალოდნელი რისკი და დეტალურად მოეწერისგებინათ ნეგატიური მოვლენების დადგომის შედეგები.[44]თუ თითქმის ყველა სახელმწიფოში შესაძლებელი იყო მხარეს შეეცვალა ან/და მოეშალა ხელშეკრულება გარემოებების არსებითი ცვლილებების გამო, ამ შემთხვევაშის საფრანგეთი შეიძლება „ჩაკეტილ" სახელმწიფოთა რიცხვს მიკუთვნებოდა, რის გამოც ფრანგულ რეალობაში იდგა იმის აუცილებლობა, რომ სასამართლოებს ჰქონოდათ შესაძლებლობა შეეტანათ ხელშეკრულებაში ცვლილებები გარემოებების არსებითი ცვლილებისას.[45]მას შემდეგ, რაც ევროპული სახელშეკრულებო სამართალმა ჰარმონიზაცია განიცადა და შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე დარეგულირდა UNIDROIT-ის და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებით, საფრანგეთის ტრადიციული მიდგომის შენარჩუნება რთული აღმოჩნდა.[46]ხელშეკრულების განასინჯვის შესაძლებლობას ვალდებულებების შესრულების გართულებისდა გამო ორი საფუძველი ჰქონდა: თუ ამას ითვალისწინებდა

---

[43]Очхаев Т.Г, Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств, Москва,2015

[44]Baranauskas E., Zapolskis P.,- The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

[45]Очхаев Т.Г, Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств", Москва,2015

[46] Pietrancosta. A., Introduction of the hardship doctrine ("theorie de I'imprevision) into French contract law: A mere revolution on the books?, 2016

თვითონ ხელშეკრულება ან კანონი.[47] 2016 წლის 10 თებერვალს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში ცვლილება შევიდა და დაემატა მესამე შესაძლებლობა: ხელშეკრულების გადასინჯვა გაუთვალისწინებელი მოვლენების დადგომის გამო.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშერკულების მისადაგებას 1195-ე მუხლი განსაზღვრავს. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლის თანახმად: „ თუ გარემოებების არსებითი ცვლილებება გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების დადების დროისთვის ახდენს გავლენას მხარეზე, რომელსაც არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ასეთი ცვლილება, მას შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების გადასინჯვა. მხარემ უნდა განაგრძოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება ხელშეკრულების გადასინჯვის პროცესში. შეუთანხმების მიუღწევლობის და ხელშეკრულების გადასინჯვის წარუმატებლობის შემთხვევაში, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ , რომ შეწყვიტონ ხელშეკრულება გარკვეული თარიღიდან ან გაურკვეული პირობებით ან საერთო შეთანხმებით მიმართონ სასამართლოს მისი გადასინჯვის თხოვნით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გადასინჯოს ხელშეკრულება ან შეწყვიტოს ის გარკვეული ვადიდან და გარკვეული პირობებით”. [48]საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1195-ე მუხლი ოთხ წინაპირობას ითვალისწინებს:

1) გარემოებების ცვლილება;
2) მათი გათვალისწინების შეუძლებლობა ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროს;
3) მათი გავლენა ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს მიერ ვალდებულების შესრულებაზე მეტისმეტად მძიმეა;

[47]Baranauskas E., Zapolskis P., The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

[48]https://www.trans-lex.org/601101/_/french-civil-code

4) მხარეს არ განუცხადებია თანხმობა ასეთი რისკის საკუთარ თავზე აღებაზე;[49]

გარემოებების ცვლილება ხელშეკრულების დადების შემდგომ უნდა მოხდეს. საფრანგეთის კანონმდებლობა არ განსაზღრავს თუ რა სახის ცვლილება უნდა იყოს ეს, ამიტომაც უშვებს ყველა შემთვევის განხილვის შესაძლებლობას. გაუთვალისწინებლობის კრიტერიუმს, საფრანგეთის კანონმდებლობა ძალიან მკაცრად უდგება. არ არის საკმარისი, რომ მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს ესა თუ ის გარემოება, თვითონ ეს გარემოება თავისი ბუნებიდან გამომდინარე, გაუთვალისწინებელი უნდა იყოს. თუ გარემოება გათვალისწინებადი იყო, მხარეებს ხელშეკრულებაშივე უნდა განესაზღვრათ მისი დადგომის შესაძლებლობა და შედეგები, თუ მათ ეს არ გააკეთეს ესეიგი მათ უგულებელყეს ის და იკისრეს მათი გავლენის თანმდევი რისკები. თუ მხარეებმა იკისრეს ეს რისკები, მაშინ მათთვის რთული სამტკიცებელი იქნება მათი შემთხვევითობა.[50] როდესაც ასეთი გარემოებები თავს იჩენენ, 1195-ე მუხლი რამოდენიმე შესაძლებლობას სთავაზობს ხელშეკრულების მხარეებს, იქნება ეს ხელშეკრულების გადასინჯვა მხაარების მხრიდან, მისი გადასინჯვა სასამართლოს მიერ და ხელშეკრულების შეწყვეტა. ეს წარმოადგენს ორფაზოვანი პროცესის შედეგს: ყველა შემთხვევაში, მოლაპარაკება არის მცდელობა, რომ მხარეები მივიდნენ კონსესუსამდე და შეთანხმებით შეცვალონ ხელშეკრულების პირობები, თუ მოლაპარაკება არ შედგა, მაშინ შესაძლებელია მხარეებმა სასამართლოს მიმართონ. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპისადმი პატივისცემიდან გამომდინარე, პირველი მოლაპარაკების ფაზა - ძირითადი, ხოლო

[49] Pietrancosta. A., Introduction of the hardship doctrine (“theorie de I’imprevision) into French contract law: A mere revolution on the books?, 2016

[50]ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშნელოვბა სახელშეკრულებ პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი N1, 2009

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მეორე - სასამართლო ფაზა - დამხმარეა.[51]

მხარეს, რომელიც ამტკიცებს გარემოების ცვლილებას შეუძლია მოსთხოვოს მეორე მხარეს, რომ მოხდეს ხელშეკრულების გადასინჯვა გარემოებებიც არსებითი ცვლილებების გათვალისწინებით. ეს დაინტერესებული მხარის არჩევანია. როგორც წესი ეს აღიარებულია, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობა.

თუ მოლაპარაკება უარყოფილ იქნა ან წარუმატებელი აღმოჩნდა, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ შეწყვიტონ ხელშეკრულება ან მიმართონ სასამართლოს მისი გადასინჯვის მოთხოვნით.[52] საფრანგეთის აღნიშნულ მიდგომაში, საყურადღებოა სასამართლოს როლი ხელშეკრულების გადასინჯვისას, თუ როგორ გადაწყვეტილებამდე უნდა მივიდეს იგი დავის განხილვისას. თუკი იგი გადაწყვეტს, რომ ხელშეკრულება უნდა შეწყდეს, მაშინ იგი ხელშეკრულებას შეწყვიტილად შეცვლილი გარემოებების დადგენიდან აცხადებს.ხოლო თუ მოსამართლე ხელშეკრულების ადაპტაციას გადაწყვეტს შეცვლილი გარემოებებისადმი. აღნიშნულ შემთვევაში მოსამართლემ უნდა შეეცადოს, რომ შეცვლილი გარემოებების ბუნებიდან გამომდინარე და მხარეთა პოზიციებისა და ინტერესების გათვალისწინებით აღადგინოს მხარეებს შორის ის ბალანსი, რომელიც არსებობდა ხელშეკრულების გაფორმების მომენტში.

გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, სასამართლოები ძალიან მკაცრი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ ხელშეკრულების შეცვლისადმი შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარე. მაგრამ გარემოებების არსებითი ცვლილების შემთხვევებმა პირველი მსოფლიო

---

[51] Pietrancosta. A., Introduction of the hardship doctrine (“theorie de I’imprevision) into French contract law: A mere revolution on the books?, 2016

[52] Pietrancosta. A., Introduction of the hardship doctrine (“theorie de I’imprevision) into French contract law: A mere revolution on the books?, 2016

ომის შემდეგ იმატა, რამაც განაპირობებდამრავალ დავას გერმანულ სასამართლოებში. სამწუხაროდ გერმანელმა კანონმდებელმა, როდესაც შემუშავებული იყო გერმანიის 1896 წლის სამოქალაქო კოდექსი არ გაითვალისწინა შეცვლილი გარემოებების შესაბამისი პირობები და არ ასახა ისინი კოდექსში.[53] ამიტომაც მოულოდნელი დავების შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების ადაპტაციის საკითხი დგებოდა, გერმანულ სასამართლოები „შესრულების შეუძლებლობის" დოქტრინას იყენებდნენ, რაც კრიტიკის საგანი არაერთხელ ხდებოდა. ამდენად, სასამართლოებს უწევდათ მოეძებნათ თეორიული საფუძლები, რომლებიც ხელშეკრულების შეცვლის სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა. ამიტომაც მოსამართლეები მივიდნენ იმ პრაქტიკამდე, რომლის საფუძველზეც ხელშეკრულება შეიძლება გადასინჯულიყო ან შეწყვეტილიყო შეცვლილი გარემოებეის გამო, თუ ამ გარემოებების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო და არც ერთი მხარე არ უშვებდა მათი გამოჩენის შესაძლებლობას.[54] შესაძლებლობას.მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისევ გამწვავდა, შეცვლილი გარემოებების საკანომდებლო დონეზე დარეგულირების აუცილებლობის საკითხი. მაგრამ ამისდა მიუხედავად, მხოლოდ 2001-2002 წლებში გერმანიის სახელშეკრულებო სამართლის რეფორმების შედეგად, შეცვლილი გარემოებების კონცეფცია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 313-ე მუხლში აისახა, რომელსაც გარიგების საფუძვლების დარღვევა (Storung der Geschaftsgrundlage) ეწოდება.[55] აღნიშნული მუხლის თანახმად:

1) თუ გარემოებები, რომელბიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ან ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა

[53]Baranauskas E., Zapolskis P., The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

[54]Очхаев Т.Г, Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств, Москва,2015

[55]Baranauskas E., Zapolskis P., The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებიდათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი იმ ფარგლებში, რომლებშიც- ცალკეული შემთხვევების გარემოებათა გათვალისწინებით, კერძოდ კი, სახელშეკრულებო ან კანონისმიერი რისკის განაწილება, - ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლველი ხელშეკრულების დაცვა;

2) გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როდესაც წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა;

3) თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია ან მეორე მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს ამაზე დათანხმება, მაშინ დაზარებულ მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გრძელვანიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნაცვლად გამოიყენება ხელშეკრულების შეწყვეტა.[56]

313-ე მუხლის დანაწესები ითვალისწინებენ, ცვლილებას როგორც ხელშეკრულების ობიექტურ , ასევე სუბიექტურ საფუძვლებში. ცვლილება ხელშეკრულების ობიექტურ საფუძვლებში გულისხმობს, მხარეთა წარმოდგენების დარღვევას, ასევე შემთხვევებს, როდესაც ვალდებულების შესრულება ორივე მხარესასთვის მძიმე ტვირთად იქცევა.ცვლილება სუბიექტურ საფუძველბში გულისხმობს შეცდომას მხარეთა მოტივაციაში ხელშეკრულების დადებისას.გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 313-ე მუხლი ნორმები სუბსიდიური ხასიათისაა და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით არაა გათვალისწინებული შესაბამისი დებულებები. შეცდომით დადებული გარიგების, და შესრულების შეუძლებლობის ნორმებს,

[56] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის მდგომარეობით) - ჯგუფი „სიესტა“, თბილისი 2010

გარემოებების შეფასებისას 313-ე მუხლთან შედარებით უპირატესობა აქვთ. დავის განხილვისას თუ მოსამართლე ხელშეკრულების ინტეპრეტაციას ახდენს, ის პირველ რიგში მხარეთა განზრახვის ანალიზს ახდენს. ასეთ შემთხვევაში, თუ მოსამართლე მივა დასკვნამდე, რომ უარყოფითი გარემოებების დადგომა მხარეთა განზრახვით მოხდა, იგი დაინტერესებულ მხარეს უარს განუცხადებს ხელშეკრულების შეცვლის ან ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე 313-ე მუხლზე დაყრდნობით, ვინაიდან ასეთი გარემოებები უნდა აღმოცენდნენ მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად.[57]

თანამედროვე გერმანული კანონმდებლობა უპირატესობას ანიჭებს ხელშეკრულების მისადაგებას და სთავაზობს მხარეებს ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას მისი შეცვლის შეუძლებლობის ან იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი პირობები ერთ-ერთი მხარისთვის მიუღებელია. სასამართლოები უპირადესობას ანიჭებენ ხელშეკრულების შენარჩუნებას შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით და ხელშეკრულების მოშლის გადაწყვეტილებას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში იღებენ.[58]

ხელშეკრულების შეწყვეტა 313-ე მუხლიდან გამომდინარე უკიდურეს ნაბიჯს წარმოადგენს. ზოგადი წესების მიხედვით გრძელვადიან ხელშეკრულებებისგან განსხვავებით ასეთ შეწყვეტას რეტროსპექტული ხასიათი აქვს, სადაც ხელშეკრულების შეწყეტას მხოლოდ პერსპექტიული ხასიათი აქვს. ასეთ განსხვავებას დიდი მნიშნელობა აქვს, ვინაიდან ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს უჩნდება შესრულების უკან მოთხოვნის უფლება და რესტიტუციის

[57] Очхаев Т.Г- "Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств", Москва,2015 г.

[58] Unexprected Circumstances in European Contract Law, Cambridge University 2011

აუცილებლობა ჩნდება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კი რესტიტუცია არ ხდება.[59]

აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართალი განასხვავებს ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შემთხვევებს გარემოებების არსებითი ცვლილებისას და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებს გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებისას, არსებითი საფუძვლის არსებობისას, რომელიც გამოიხატება ვალდებულებითი ურთიერთობების გაგრძელების დაუშვებლობაში ან ვალდებულების დარღვევისას. (314 მუხლი). შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტი გამოიყენება სახელშეკრულებო თანასწორების არსებითი დარღვევისას (ეკონომიკური გარემოებების და ეკონომიკური ფაქტორების ცვლილებისას), ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტა გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობებისას, მაშინ როდესაც შეუძლებელია ურთიერთობის გაგრძელება გამოიყენება მხოლოდ პირადი ფაქტორების და გარემოებებისას ცვლილებისას. განსხვავებები იკვეთება ასევე სამართალურთიერთობის დინამიკაში: თუ გარიგების საფუძვლის შეცვლისას ასე თუ ისე საჭიროა სასამართლოს მონაწილეობა, გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებისას მნიშნელოვანი საფუძვლის არსებობისას საკმარისია ერთ-ერთი მხარის განცხადებაც.[60]

გერმანული სამართალი განსაკუთრებული მიდგომით გამოირჩევა გარემოებების არსებითი ცვლილების პრობლემისადმი, ვინაიდან ასეთი ცვლილებებისას ითვალისწინებს ცვლილებას, როგორც გარიგების სუბიექტურ,ასევე ობიექტურ საფუძლებში. გერმანელმა კანონმდებელმა დაინტერესებულ მხარეს გარიგების საფუძვლის დარღვევისას დაინტერესებულ მხარეს მისცა შესაძლებლობა, რომ მოითხოვოს

[59]Очхаев Т.Г- "Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств", Москва,2015 г.

[60] Мухачева Е. С.- Невозможность исполнения обязательств в российском европейском и единообразном частном праве. Автореферат, Томск,2013

არამხოლოდ ხელშეკრულების ადაპტაცია, არამედ შესაძლებლობა შეწყვიტოს ხელშეკრულება თუკი აღნუშნული ადაპტაცია შეუძლებელი ან მიუღებელია. შეიძლება ითქვას, რომ გერმანული მოდელი უფრო ორიენტირებულია ხელშეკრულების შენარჩუნებაზე, მისი შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების გზით.

კონტინენტური ევროპის არაერთმა ქვეყანამ, გაიზიარა გერმანიის მიდგომა და ჩამოაყალიბა შეცვლილი გარემოებების მარეგულირებელი ნორმები მათ საკანონმდებლი სისტემაში. ასეტი ქვეყნებს განეკუთვნება: იტალია, ნიდერლანდები, საბერძნეთი, რუსეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ლიტვა, ავსტრალია. მიუხედავად იმისა, რომ კონცეფცია Storung der Geschaftsgrundlage არ არის პირდაპირ ასახული ავსტრიის სამოქალაქო კანონმდებლობაში, მაგრამ იგი აღიარებულია ავტრიის ვალდებულებითი სამართლის მიერ და აქტიურად გამოიყენება პრაქტიკაში სასამართლოების მხრიდან.[61]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სრულიად გაზიარებულია კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების მიდგომა ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ინსტიტუტთან, თუმცა პრაქტიკული განსხვავები ნათლად იკვეთება. ევროპულ სამართლებრივ სისტემაში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, როგორც მხარეებს, ასევე სასამართლოებსაც შეუძლიათ, ხოლო საქართველოს საკანონმდე ჩანაწერი ამის შესაძლებლობას არ იძლევა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილი შეცვლილი გარემოებების წარმოშობისას ხელშეკრულების მისადაგებას, როგორ შესაძლებლობას განიხილავს და შესაბამისად ამ ჩანაწერსასიმპერატიული ხასიათი არ აქვს, როდესაც მაგალითად

[61]Baranauskas E., Zapolskis P.,- The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

საფრანგეთში, მოლაპარაკებები სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობათ განიხილება.

2.შეცვლილი გარემოებების არსი ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში

ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების დამახასიათებელი ნიშანი ის არის რომ, სამართლის წყაროს წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი. სახელშეკრულებო ურთიერთობებში შეცვლილი გარემოებების დოქტრინა აქტიურად გამოიყენება სასამართლოს მიერ.[62]

მე-19 საუკუნის შუარიცხვებამდე, შეთანხმების დაურღვევლობის პრინციპს ენიჭებოდა უპირატესობა. ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში ცნობილ საქმეზე, Paradine v. Jane, რომელიც მე-17 საუკუნის საქმეა, დამქირაველი უარს აცხადება ქირის გადახდაზე, იმ მოტივით, რომ იგი გამოსახლებული იყო სახლიდან სამეფო არმიის მიერ და არ ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა დაქირავებული უძრავი ქონებით და მანდ არსებული კუთვნილი ნივთებით. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ თუ კანონი ქმნის ვალდებულებებს და მათი შესრულება მხარის შესაძლებლობებს აღემატება, კანონს შეუძლია აპატიოს მას, მაგრამ თუ მხარემ ვალდებულებები მის მიერ გამოხატული ნების საფუძველზე იკისრა, მან ისინი კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, მიუხედავად ნებისმიერი უბედური შემთხვევისა, იმიტომ რომ ასეთი შემთხვევის დადგომა მას ხელშეკრულებაშივე უნდა გაეთვალისწინებინა.[63] აღნიშნული მიდგომა სასამართლო პრაქტიკაში თითქმის ორი საუკუნის მანძილზე გამოიყენებოდა, რის შემდეგაც სასამართლომ ხელშეკრულების ამაოობის დოქტრინა

---

[62] Unexprected Circumstances in European Contract Law, Cambridge University 2011

[63]Baranauskas E., Zapolskis P.,- The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

(*frustration of contract)* განავითარა. დოქტრინა შემუშავებულ იქნა 1863 წელს, Taylor v. Coldwell-ის საქმეზე.[64] აღნიშნულ საქმეში მოპასუხე დათანხმდა მოსარჩელეს, რომ გამოიყენებს საკონცერტო დარბაზს ოთხი ღამის განმავლობაში. ხელშეკრულების დადების შემდგომ, პირველი კონცერტის ჩატარებამდე, საკონცერტო დარბაზი დაიწვა ხანძრის შედეგად, რომელზეც არც ერთი მხარე არ იყო პასუხისმგებელი. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ საფუძვლით, რომ შესრულების შეუძლებლობა ათავისუფლებს მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან , თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია საგნის დაღუპვით. აღნიშნული საქმეზე ინგლისის სასამართლომ პირველად აღიარა შესრულების შეუძლებლობა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლად.[65] თავდაპირველად, ხელშეკრულების ამაოობის (frustration of contract) დოქტრინა ვრცელდებოდა შეთანხმების საგნის დაღუპვის შემთხვევებზე, მაგრამ შემდგომ სასამართლოებმა მისი გამოყენების არეალი გააფართოვეს. მისი გამოყენება მაშინაც ხდებოდა, როდესაც ქარწყლდებოდა სახელშეკრულებო ინტერესი და შეთანხმების მიზანი ხდებოდა ამაო.[66]

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო განმარტება „ხელშეკრულების ამაოობის“ დოქტრინის, ლორდთა პალატის მოსამართლემ გააკეთა საქმეზე National Carriers Ltd v. Panalpina (Northern) Ltd. “ ხელშეკრულების მოშლა ობიექტური მიზეზისთა გამო შეიძლება, რომლებიც რადიკალურად ცვლიან მხარეთა უფლებების და მოვალეობების ხასიათს, იმასთან შედარებით რაც ხელშეკრულების დადების მომენტში იყო. აღნიშნული ცვლილება კი ისეთია, რომ უსამართლო იქნება აიძულო მხარეები მიჰყვნენ ძველ პირობებს, რომლებიც იყო გარემოების ცვლილებამდე; აღნიშნულ შემთხვევაში

---

[64] Momberg R.U.- The effect of change circumstances on the binding force of contracts, 2009

[65] Taylor V Caldwell (1863) B&S 826 - https://www.lawteacher.net/cases/taylor-v-caldwell.php

[66]ჩიტაშვილი ნ., - „შეცვლილ გარემოებათა პირობებში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამომსირცხველი საფუძვლებისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების ანალიზი“, სამართლის ჟურნალი N2, 2014

სამართალს შეუძლია გაათავისუფლოს კონტრაჰენტი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან“.[67]აღნიშნული განმარტება ჰგავს საკანონმდებლო ჩანაწერებს, რომლებიც არაერთი კონტინენტური სამართლის ქვეყნის სამართალში გვხვდება. დოქტრინის „frustration of contract” გამოყენებისას სასამართლოები ამოწმებენ გარემოებების არსებითი ცვლილება დაინტერესებული მხარის ბრალით მოხდა თუ არა, შესაძლებელი იყო თუ არა გარემოებების არსებითი ცვლილების წინასწარ განსაზღვრა და ჰქონდათ თუ არა მხარეებს ხელშეკრულებაშივე განსაზღვრული გარემოებების არსებითი ცვლილების მარეგულირებელი პირობები.[68] სასამართლოები „ frustration of contract”- ის დოქტრინის გამოყენებისას, როგორც წესი ათავისუფლებენ ორივე მხარეეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან, ვინაიდან სასამართლოს არ აქვს უფლება მოახდინოს ხელშეკრულების პირობების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისგადმი.[69]

ამერიკის სამართალში გამოიყოფა შემთხვევები, როდესაც გარემოებები ხელშეკრულების შესრულებას ხდის შეუძლებელს (impossibility); შეუსრულებელს (impracticability) ან შესრულება ორივე მხარესათვის კარგავს აზრს (frustration).[70]

ხელშეკრულების შეუსრულებლობაში იგულისხმება სიტუაცია, როდესაც ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებელია, გარიგების მიზანი მიღწევადია, მაგრამ გაუთვალისწინებელი გარემოებებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება იწვევს იმაზე დიდ ხარჯებს, ვიდრე ხელშეკრულების დადებისას იყო გათვალისწინებული. აღნიშნული

---

[67] National Carriers Ltd v Panalpina (Northern) Ltd (1981) Ac 675 - https://www.lawteacher.net/cases/national-carriers-v-panalpina.php

[68]Baranauskas E., Zapolskis P.,- The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

[69]Очхаев Т.Г- “Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств”, Москва,2015 г.

[70] Петрищев В.С.- Существенное изменение обстоятельств правоприминение ст 415 ГК РФ и опыт стран общего и континентального права,Москва 2007

დოქტრინის გამოყენებისას ამერიკის სასამართლოები კონსერვატიულ პოზიციას იკავებენ და როგორც წესი დაინტერესებული მხარის მოთხოვნას, მხოლოდ კოლოსალურად გაზრდილი ხარჯების შემთხვევაში აკმაყოფილებენ.[71]

ამერიკის სასამართლოები დიდ ყურადღებას აქცევენ მხარეთა შორის გარკვეული გარემოებების დადგომის გათვალისწინების რისკის გადანაწილების ფაქტს და იმას, თუ რომელ მხარეს შეეძლო თავდაპირველადვე ხარჯების გაწევის გარეშე და უფრო დეტალური ინფორმაციის მოპოვების მიზნით დაეზღვია გარემოებების დადგომის ალბათობა (superior risk bearer test). მაშასადამე, თუ მხარე „best risk bearer" არის, მისი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა განიხილება, როგორც სამართალდარღვევა, მისი თანმდევი პასუხისმგებლობით (ზიანის ანაზღაურება, ჯარიმის გადახდა და ა.შ)[72]

ხელშეკრულების „შეუსრულებლობის" შემთხვევებში, ამერიკის სასამართლოები უპირატესობას ანიჭებენ ხელშეკრულების შეწყვეტას და ათავისუფლებენ მხარეს ვალდებულების შემდგომი შესრულებისგან, მაგრამ Alcoa-ს ცნობილ საქმეზე სასამართლომ აღიარა გრძელვადიანი ნარდობის ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესაძლებლობა, ვინაიდან მასალის ღიღებულება თითქმის 500% გაიზარდა. თავის შუალედურ დასკვნაში სასამართლო მზად იყო კონკრეტული ფასები განესაზღვრა, ვინაიდან ფლობდა სრულ საჭირო ინფორმაციას.[73] აღნიშნული საქმე მხარეთა მორიგებით დასრულდა და სასამართლოს ასეთი მიდგომა პრეცენდენტური არ გახდა, მაგრამ იგი მოწონებული იყო არაერთი მკვლევარის მხრიდან.

---

[71] ჩიტაშვილი ნ., „შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე", დისერტაცია 2014

[72] Петрищев В.С.- Существенное изменение обстоятельств правоприминение ст 415 ГК РФ и опыт стран общего и континентального права,Москва 2007

[73] Zundel M. – "Equitable Reformation of Long-term Contracts. The New Spirit of ALCOA". Utah Law Review, 1982

რაც შეეხება ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობას (impossibility) ან ხელშეკრულების ამაოობას (frustration of purpose), აღნიშნულ შემთხვევაში დაინტერესებულმა მხარემ, რომელიც მოთხოვნას აყენებს, უნდა დაამტკიცოს გარემოებების გაუთვალისწინებლობა, ხელშეკრულების შეუსრულებლობის აღნიშნული გარემოებების გამო და ის რომ მხარეები ხელშეკრულების დადებისას ვერ გაითვალისწინებდნენ მათი დადგომის შესაძლებლობას. დამატებით აუცილებელია იმის დადგენა, გამოიწვია თუ არა გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომამ ხარჯების არსებითი ზრდა და იმოქმედა თუ არა ხელშეკრულების ბუნებაზე.[74]

ინგლისის და ამერიკის მიდგომების შედარებიდან შესაძლებელია მივიდეთ, იმ დასკვნამდე, რომ ინგლისში მოქმედები ხელშეკრულების ამაოობის დოქტრინა თავის თავში მოიაზრებს დაუძლებელი ძალით გამოწვეულ გარემოებებს, შესრულების შეუძლებლობას და გარემოებებიც არსებით ცვლილებას, ხოლო ამერიკაში აღნიშნული ცნების ცალკეულად განიხილება. მაგრამ საბოლოო ჯამში, ორივე ქვეყანაში ერთ სამართლებრივ შედეგამდე გადიან მოსამართლეები, აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ხელშეკრულების შეწყეტა ხდება.

თუ შევადარებთ კონტინენტური სამართლის ქვეყნების მიდგომას, ანგლო-ამერიკული სისტემის სასამართლოსთან, კონტინენტური სამართლის ქვეყნები, უპირატესობას ანიჭებენ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებას.

ზემოაღნიშნული მსჯელობებიდან ჩანს, რომ ხელშეკრულების ადაპტაციის მექანიზმის გამოყენებისას, სამართლებრივი სისტემების მიდგომა განსხვავებულია და ანგლოამერიკული და კონტინენტური სამართლებრივი სისტემა განსხვავებულ მიდგომას აყალიბებს. საერთო სამართალში „ხელშეკრულების ამაოობის“ დოქტრინის შედეგი არის ხელშეკრულების

---

[74]Петрищев В.С.- Существенное изменение обстоятельств правоприминение ст 415 ГК РФ и опыт стран общего и континентального права,Москва 2007

შეწყვეტა, მაშინ როდესაც კონტინენტური სამართლის ქვეყნების ხელშეკრულების შენარჩუნებას ანიჭებენ უპირატესობას და უთვალისწინებენ ხელშეკრულების ადაპტაციის შესაძლებლობას.

3. შეცვლილი გარემოებების რეგულირება UNIDROIT-ის და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებით

უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპების 6.2.1-6.2.3 მუხლები არეგულირებენ შეცვლილი გარემოებების სამართლებრივ ინსტიტუტს, რომლებშიც აღნიშნული ინსტიტუტი შესრულების გართულების (hardship) ტერმინით არის განმტკიცებული.[75] უნიდროას პრინციპებისგან განსხვავებით ევროპის სახელშეკრულებო პრინციპებში „შესრულების გართულების" (hardship) ტერმინი არ არის განმტკიცებული და აღნიშნული პრინციპების 6.111 მუხლს „შეცვლილი გარემოებები" ეწოდება[76].

უნიდროას პრინციპების 6.2.1 - ე და 6.2.3-ე მუხლებში დეტალურად აღწერილია შეცვლილი გარემოებების გავლენით შესრულების გართულების ცნება და სამართლებრივი შედეგები, რომლებიც მათ თან სდევს. 6.2.1-ე მუხლის თანახმად, მხარისთვის სახელშეკრულებო ვალდებულება მბოჭავია მისი შესრულების გართულების შემთხვევაშიც; მხარემ უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები შესაბამისი გართულებების გათვალისწინებით. ხელშეკრულების გართულებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც გამოვლენილი გარემოებები არსებითად ცვლიან სახელშეკრულებო თანასწორობას, რაც გამოწვეულია ერთი მხარისთვის შესრულების ღირებულების გაზრდის ან მეორე მხარის მიერ მიღებული შესრულების ღირებულების შემცირებით. ამასთანავე: ა) გარემოებები უნდა აღმოცენდნენ ან გახდნენ დაზარებული მხარისთვის ცნობილი ხელშეკრულების დადების შემდეგ; ბ) დაზარალებულ

[75] UNIDROIT PRINCIPLES of International Commercial Contracts – International Institute of the Unification of Private Law, Rome 2016

[76]Principles of European Contract Law 2002(Parts I,II and III) – European Union

მხარეს გონივრულად არ უნდა შეეძლოს გარემოებების ცვლილების გათვალისწინება ხელშეკრულების დადებისას; გ) გარემოებები უნდა არსებობდეს მხარის კონტროლის სფეროს მიღმა; დ) მხარეს არ უნდა ჰქონდეს ნაკისრი ვალდებულების შესრულების რისკი.[77]

უნიდროას პრინციპების 6.2.3 მუხლი განსაზღვრავს შესრულების გართულების სამართლებრივ შედეგებს და სთავაზობს მხარეებს ორ ეტაპობრივ სისტემას. პირველი ეტაპია კომუნიკაცია: შესრულების გართულების შემთხვევაში დაზარებულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების გადასინჯვა. მოთხოვნა უნდა იქნეს წაყენებული დროულად, ზუსტად გარემოებების დადგომის შემდეგ და უნდა იყოს მოტივირებული. მოლაპარაკების დაწყების დროს, მხარეებს უნდა სურდეთ შეთანხმების მიღწევა, მათ უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში არ უნდა გამოიყენონ მოლაპარაკებები, როგორც ტაქტიკული მანევრი. თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, თითოეულ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. თუ სასამართლო დაადგენს შესრულების გართულების წინაპირობის არსებობას, მაშ შეუძლია, თუ ამას სამართლიანად მიიჩნევს: ა) შეწყვიტოს ხელშეკრულება, კონკრეტული ვადიდან და კონკრეტული პირობებით; ან ბ) შეცვალოს ხელშეკრულება თანასწორების აღდგენის მიზნით.[78]

ევროპული პრინციპების მიხედვით, სახელშეკრულებო ვალდებულების ყოველგვარი გართულება არ ქმნის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს, კერძოდ, ევროპული პრინციპების 6:111 მუხლის თანახმად:

---

[77]ჩიტაშვილი ნ., „შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“, დისერტაცია 2014

[78]Baranauskas E., Zapolskis P.,- The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

1) მხარე ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მაშინაც კი, როდესაც შესრულება გართულდა, რამდენადაც გაიზარდა შესრულების ხარჯი ან შემცირდა მისაღები შესრულების ღირებულება;

2) თუ ხელშეკრულების შესრულება გარკვეული გარემოებების შეცვლის გამო მნიშნელოვნად გართულდა, მხარეები ვალდებულნი არიან, დაიწყონ მოლაპარაკებები ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის თაობაზე, თუ: ა) გარემოებათა ცვლილება ხელშეკრულების დადების შემდეგ მოხდა; ბ) გარემოებათა ცვლილების შესაძლებლობის დადგენა შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადების დროს; და გ) გარემოებათა შეცვლის რისკი, ხელშეკრულების თანახმად, დაზარებულ მხარეს არ აკისრია.

აღნიშნული მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს, კერძოდ, თუ მხარეები გონივრულ ვადაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია: ა) შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ მომენტიდან და იმ პირობებით, რომლებსაც ის თვითონ მიიჩნევს მოზანშეწონილად; ან ბ) ან ისე მოარგოს ხელშეკრულება შექმნილ მდგომარეობას, რომ ზარალი და მოგება, რომელიც შეცვლილი გარემოებებიდან გამომდინარეობს, სამართლიანად და გონივრულად განაწილდეს მხარეებზე.[79]

ორივე შემთვევაში სასამართლო უფლებამოსილია ზიანის ანაზღაურება დააკისროს იმ მხარეს, რომელიც უარს განაცხადებს მოლაპარაკებებზე ან შეწყვეტს მოლაპარაკებებს კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპის დარღვევით, იმ ზიანისთვის, რომელიც მეორე მხარეს ამის გამო მოადგა.[80]

უნიდროას პრინციპირების და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების ანალიზიდან ჩანს, რომ ორივე აქტი აძლევს სასამართლოს

---

[79]ბზეკალავა ე., ჭალიძე თ., ცერცვაძე ა., გეგენავა დ., - „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ , თარგმანი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

[80]Baranauskas E., Zapolskis P.,- The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

შესაძლებლობას აირჩიოს შესაბამისი საშუალება, იქნება ეს ხელშეკრულების ადაპტაცია თუ შეწყვეტა. საყურადღებოა, ამ ორი საშუალებიდან, რომელს უნდა მიანიჭოს სასამართლომ უპირატესობა და თუ რა გზებით უნდა მოახდინოს სასამართლომ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ვინაიდან ნათელია თუ იგი ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებამდე მივა , იგი შეწყვეტს მას გარკვეული თარიღიდან და გარკვეული პირობებით, იქნება ეს ზიანის ანაზღაურება, რესტიტუცია, გაწეული ხარჯების ანაზღაურება თუ სხვა, ხოლო გზა, თუ როგორ უნდა მოხდეს მისადაგება არც ერთი აქტით არ არის შემოთავაზებული.

V. გარემოებების არსებითი ცვლილებების წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები

1.შეცვლილი გარემოებების სამართლებრივი წინაპირობები

როგორც უკვე აღინიშნა, შეცვლილი გარემოებები წარმოადგენს ისეთ მოვლენებს, რომლებიც კონტრაჰენტთა კონტროლის სფეროს მიღმა და რომელთა აღმოცენა არსებით გავლენას ახსენს მხარეთა სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობებზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული გარიგების საფუძვლების დარღვევით გამოწვეული შედეგები, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, რომ მოახდინონ ხელშეკრულების ადაპტაცია და მიუსადაგონ ის შეცვლილ გარემოებებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გამოყენება დასაშვებია, ამავე მუხლით გათვალისწინებული შემდეგი აუცილებელი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც თითქმის იდენტურია იმ პირობებისა, რომლებსაც აყალიბებს კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა და უნიდროას და ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები. შესაბამისად, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება, თუ: 1) მოხდა გარიგების საფუძვლის ცვლილება; 2) გარემოებები აშკარად შეიცვალა; 3) გარემოებების ცვლილება ხელშეკრულების დადების შემდომ მოხდა ; 4) მხარეები არ დადებნენ ხელშეკრულებას ან დადებნენ სხვა შინაარსით, ეს გარემოებების რომ გაეთვალისწინებინათ.

როგორც ჩანს სსკ-ის 398-ე მუხლი ნებისმიერ ცვლილებას არ აღიარებს ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების წინაპირობად, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოებების ცვლილებას, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი იყო. შესაბამისად თავდაპირველად

მნიშნელოვანია განიმარტოს თუ რა არის ხელშეკრულების საფუძველი. ხელშეკრულების საფუძველი არის „ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა ერთობლივი, აშკარა, თვალსაჩინო წარმოდგენები. გარიგების საფუძველს მიეკუთვნება, ასევე, ისეთი წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების ერთ მხარეს გააჩნდა, რაც მეორე მხარეს შეცნობილი ჰქონდა და არ გაუპროტესტებია. გარიგების საფუძვლად მიიჩნევა ხელშეკრულებისათვის მნიშნელოვანი გარემოებები, რომლებსაც ემყარება გარიგების დადების ნება."[81] შესაბამისად ხელშეკრულების საფუძველია არის ისეთი გარემოებები, რომლების გაითვალისწინებითაც მხარეები დებენ გარიგებას.

ქართული კანონმდებლობა მსგავსად გერმანულისა, შეცვლილი გარემოებებისას ითვალისწინებს ცვლილებას, გარიგების როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ საფუძვლებში. გარიგების ობიექტური საფუძველი წარმოადგენს გარემოებებს, რომლებიც მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას გაითვალისწინეს ან რომლის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონიათ, ხოლო სუბიექტური საფუძველი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც მხარე შეცდომით უშვებს გარკვეული გარემოებების არსებობას.[82] სსკ-ის 398-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს არსებით ცვლილებას სწორედ გარიგების ობიექტურ საფუძვლებში[83], ხოლო მეორე ნაწილი სუბიექტურში[84].

---

[81] ლეგაშვილი დ., - „შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე", სტატია. სამართლის ჟურნალი N2, 2013

[82]იქვე;

[83]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, პირველი ნაწილი - თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებნდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები, რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

[84]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი, მეორე ნაწილი - გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

მეორე წინაპირობად, იმისათვის რომ განხორციელდეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი გათვალისწინების გარიგების საფუძვლების აშკარა ცვლილება, მაგრამ თუ რა შეიძლება ჩაითვალოს „აშკარა“ ცვლილებად განმარტების საგანს წარმოადგენს. გარემოება არსებითად შეცვლილად რომ ჩაითვალოს, ცვლილებებით გამოწვეული შედეგი შესასრულებლად მძიმე უნდა იყოს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, გარემოებების შეცვლა იმდენად უნდა ართულებდეს შესრულებას, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით შესრულების მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდეს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს“.[85] აღნიშნული მიდგომით სასამართლო ძირითად პირობად განსაზღვრავს ვალდებულების შესრულების უკიდურეს დამძიმებას, მაგრამ მიმაჩნია, რომ მხოლოდ შესრულების გართულება არ უნდა მოიაზრებოდეს „აშკარა“ ცვლილებაში ვინაიდან შეცვლილი გარემოებების გამო ხელშეკრულების მისადაგების აუცილებლობა შესრულების გამარტივების შემთხვევაშიც, იმისათვის რომ გათვალისწინებულ იქნეს კრედიტორის ინტერესებიც.

შეცვლილი გარემოებები, რომელიც გარიგების საფუძვლის „აშკარა“ ცვლილებას იწვევს, ხელშეკრულების დადების შემდგომ უნდა აღმოცენდეს. აღნიშნულ მოთხოვნას ითვალისწინებს როგორც სსკ-ის 398-ე მუხლი, ასევე უნიდროას პრინციპების 6.2.2 [86] და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 6:111 მუხლები[87]. აღნიშნული კრიტერიუმის განსაზღვრა მნიშნელოვანია, ვინაიდან მხარეს არ უნდა შესწევდეს უნარი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის გაითვალისიწინოს გარემოებების

[85] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის Nას-7-6-2010 გადაწყვეტილება

[86] UNIDROIT PRINCIPLES of International Commercial Contracts – International Institute of the Unification of Private Law, Rome 2016

[87]Principles of European Contract Law 2002(Parts I,II and III) – European Union

ცვლილება, რადგან წინაამღდეგ შემთხვევაში გამოირიცხება ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობა.[88] გარდა ამისა, შეცვლილმა გარემოებებმა გარიგების საფუძველზე ისეთი გავლენა უნდა მოახდინოს, რომლის ცოდნის და გათვალისწინების შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეები არ დადებნენ მას საერთოდ ან დადებნენ განსხვავებული შინაარსით.[89]

მაშინ, როდესაც გარიგების საფუძველი არსებითად იცვლება, ისე რომ მხარეებს ასეთი ცვლილების გათვალისწინება არ შეეძლოთ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ გზას. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს სსკ-ის 398-ე მუხლის მესამე ნაწილიდან, რომლის თანახმადაც, მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს", აღნიშნული ჩანაწერია მსგავსია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 313-ე პარაგრაფის მესამე ნაწილისა[90].

თუ რა გზებს შეიძლება მიმართონ მხარეებმა ხელშეკრულების მისადაგებისას მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, საქართველოს კანონმდებლობაში არ არის მითითება შესაძლო გზებე და არც კომპეტენტურ ორგანოებზე, რომლებსაც შეუძლიათ მიუსადაგონ ხელშეკრულება, როგორც ეს არის მაგალითად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში, სადაც ხელშეკრულების მისადაგების შესაძლებლობა სასამართლოსაც გააჩნია.

ხელშეკრულების მისადაგებისას შეცვლილი გარემოებებისადმი, მნიშნელოვან როლს თამაშობს მოლაპარაკების პროცესი, რადგანაც გარემოებების არსებითი ცვლილებისას ფაქტობრივად გარდაუვალია

---

[88]ჩიტაშვილი ნ., „შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე", დისერტაცია 2014

[89]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი

[90]გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის მდგომარეობით) - ჯგუფი „სიესტა", თბილისი 2010

ინტერესთა კონფლიქტი.[91] საქართველოს კანონმდებლობაში ვერ შევხვდებით წესებს, რომელიც მხარეებს მოლაპარაკების გამართვისკენ უბიძგებს, მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპი მხარეებს აკისრებს ურთიერთანამშრომლობის ვალდებულებას ხელშეკრულების ადაპტაციის მიზნით. ურთიერთანამშრომლობა გამოიხატება იმაში, რომ მხარეს შეუძლია ჰქონდეს ისეთი დახმარების იმედი, რომელიც არ გამომდინარეობს გარკვეული ვალდებულებებიდან, მაგრამ მეორე მხარესთვის ჩამოყალიბებული გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება გაწეულ იქნეს მეორე მხარის მიერ ისე, რომ არ განიცადოს არანაირი დაკარგი. [92] როგორც ასეთი, ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება არ არის ჩამოყალიბებული, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პრინციპი და იგი კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს, მაგრამ იგი აღიარებულია უნიდროას საერთაშორისო პრინციპების 5.3 და ევროპის სახელშეკრულები პრინციპების 1:202 მუხლებით. მოლაპარაკებების პროცესი მხარეთა ინტერესთა ბალანსის დაცვით უნდა მიმდინარეობდეს და ეფუძნებოდეს მხარეთა განზრახვას განაგრძოს ურთიერთობა ურთიერთდათმობის და კომპრომისების მიღწევის გზით. ევროპული პრინციპებისა და უნიდროას სახელშეკრულებო პრინციპების მიხედვით შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების დროს, მოლაპარაკებების პროცესი სავალდებულოა, ვინაიდან იგი წარმოადგენს სასამართლოსადმი მიმართვის წინაპირობას.[93]

მოლაპარაკებების მიზანია, რომ შემცირდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის შესაძლებლობა და გამყარდეს მათ შორის ურთიერთობა.

---

[91]ტაბატაძე დ.,- " ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი", ჟურნ. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II გამოშვება,2013

[92]ჩიტაშვილი ნ., - „შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე", დისერტაცია 2014

[93]ჩიტაშვილი ნ., - „შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი", სტატია, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი" N1, თბილისი 2014

ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა გარემოებების არსებითი ცვლილებისას ინტერესთა კონფლიქტი გარდაუვალია, მოლაპარაკებები ისე უნდა მიმდინაორებდეს, რომ მხარებმა კომპრომისს მიაღწიოს ისე რომ, მოხდეს შესრულების სიმძიმის შემსუბუქება მოვალისთვის, ხოლო კრედიტორისთვის კვლავ სახელშეკრულებო სარგებლის უზნრუნველყოფა. კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს, რომ მოლაპარაკებების შესახებ მოთხოვნა იყოს დროული, მხარეებმა ერთმანეთს დროულად უნდა აცნობონ გარემოებების არსებითი ცვლილების შესახებ და მიაწოდონ ერთმანეთს ამომწურავი ინფორმაცია ცვლილების მასშტაბისა და მისი ზემოქმედების ხარისხზე.[94] შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ვადა არ არის განსაზღვრული კანონით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „მითითებული ნორმის არსიდან იკვეთება, რომ ასეთი მოთხოვნა ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, შეცვლილი გარემოებების დადგომისთანავე.“[95] შესაბამისად, აღნიშნულ ვითარებაში მხარეებმა ერთმანეთს გარემოებების ცვლილების შესახებ გონივრულ ვადაში უნდა მიმართონ, წინაამღდეგ შემთხვევაში, მათ შეიძლება შეეზღუდოთ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების უფლება.

თუ მხარეებმა ერთმანეთში მოლაპარაკების გზით ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, მოლაპარაკების პროცესის წარმათვისთვის მათ შეუძლიათ მიმართონ არბიტრაჟს ან მედიაციას, სადაც მოლაპარაკების წარმართვაში კომპეტენტური პირები, მხარეებს უფრო თვალთანთვლივ წარმოუდგენენ სამომავლო შედეგებს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობის გაწყვეტას და შესთავაზებენ ალტერნატიულ ვარიანტებს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ხელშეკრულების გადასინჯვა.

---

[94]ჩიტაშვილი ნ., - „შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“, დისერტაცია 2014

[95]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის Nას-7-6-2010 განჩინება.

გარემოებების არსებითი ცვლილების სამართლებრივ სისტემებში შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხის განხილვის შესაძლებლობა სასამართლოებს გააჩნიათ, რისთვისაც სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება გადაწყიტოს უნდა მოხდეს თუ არა ხელშეკრულების ადაპტაცია თუ ხელშეკრულების შეწყვეტა. [96] სასამართლოს მთავარი ფუნქცია გარემოებების არსებითი ცვლილებისას გამოიხატება იმაში, რომ სასამართლომ უნდა გამოასწოროს ის ნეგატიური შედეგები, რომლებიც ამ გარემოებების ცვლილებამ გამოიწვია. აღნიშნული ფუნქციის შესრულებისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს გონივრულობის და სამართლიანობის პრინციპით და გაითვალისწინოს მხარეთა ინტერესთა ბალანსის დაცვის მნიშნელობა.[97] სამართლოს მხრიდან ადაპტირებული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა პირველად სახელშეკრულებო ინტერესებს და მიზნებს.

სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მოქმედებს, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების მხარეებს თავად შეუძლიათ განსაზღვრონ ხელშეკრულების პირობები და სამართლებრივი შედეგები, რომლებიც მათ დარღვევას მოჰყვება, ამიტომაც ერთი შეხედვით, სასამართლოს ჩარევა სახელშეკრულებო ურთიერთობებში გარემოებების ცვლილებისას შეიძლება შეფასდეს ჩარევად მხარეთა ნების თავისუფლებაში, მაგრამ ასეთი ცვლილებების მხარეებს არ აქვთ შესაძლებლობა გაითვალისწინონ ამ მოვლენებისა და მათი შედეგების რეგულირების საკითხი და შესაბამისად შეცვლილი გარემოებების რეგულირება სცილდება ხელშეკრულების ფარგლებს[98], რაც მათ აძლებს შესაძლებლობას მიმართონ სასამართლოს, როგორც ობიექტურ ორგანოს. ამასთანავე, სასამართლოს

---

[96] Momberg R.U.- The effect of change circumstances on the binding force of contracts, 2009

[97]Unexprected Circumstances in European Contract Law, Cambridge University 2011

[98]ჩიტაშვილი ნ., - „შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“, დისერტაცია 2014

მხრიდან ხელშეკრულების ადაპტაციიას არ ხდება ახალი ხელშეკრულების ჩამოყალიბება, არამედ სასამართლო მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით ადგენს ისეთ პირობებს,რომლებიც უფრო ახლოს იქნება მხარეთა ნებასა და ინტერესებთან. თუ სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ აღნიშნული შედეგების მიღწევა შეუძლებელია მაშინ მან უნდა შეწყვიტოს ხელშეკრულება[99].

როგორც კონტინენტურ, ასევე ანგლო-ამერიკულ სამართლის ქვეყნებში ხელშეკრულების შენარჩუნებას ენიჭება უპირატესობა და ხელშეკრულების შეწყვეტა შეცვლილ გარემოებებისადმი მისი მისადაგების შეუძლებლობის შემთხვევაში უკიდურეს ზომას წარმოადგენს. სასამართლო ამ გადაწყვეტილებამდე იმ შემთხვევაში მიდის, თუ დაადგენს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა უკეთ უზრუნველყოფს მხარეთა ორმხრივ ინტერესებს. აღნიშნულ შემთხვევაში მას შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტის განსხვავებული წესები დაადგინოს და შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ მომენტიდან და იმ პირობებით, რომლებსაც ის თვითონ მიიჩნევს მოზანშეწონილად, ისე რომ არც ერთი მხარეთა არ დაზარალდეს.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, როგორც წესი სასამართლოები ხელშეკრულების შეწყვეტასთან შედარებით უპირატესობას ხელშეკრულების შენარჩუნებას ანიჭებენ,რაც მიმაჩნია ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობასა და განვითარებაზე დადებითად აისახება შემდეგი გარემოების გამო. როგორც ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისას მხარეებს მის კეთილსინდისიერად შესრულებას და არა შეწყვეტას ვარაუდობდნენ, შესაბამისად ხელშეკრულების მისადაგება მათ თავდაპირველად ნებას და მიზნებს ემსახურება. სასამართლოს, როგორც დავის განმხილველ ძირითად ორგანოს, რომელსაც დიდი გამოცდილება

[99]Очхаев Т.Г- Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств, Москва,2015 г.

გააჩნია კონკრეტული კატეგორიის საქმეების განხილვისას, საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად შეუძლია მხარეებს ხელშეკრულების ადაპტაციოს ისეთი ვარიანტი შესთავაზოს, რომელიც მხარეთა ინტერესების დაბალანსებას შეუწყობს ხელს. სასამართლოს შესაძლებლობა ჩაერიოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში გარემოებებიც არსებითი ცვილებისას, შეიძლება სტიმულის მიმცემი იყოს მხარეთათვის, რათა მოლაპარაკებების ეფექტურად ჩაატარონ და თვითონ განსაზღვრონ მიუსადაგონ ხელშეკრულება გარემოებებს თუ შეწყვიტონ ის, ვინაიდან მათ არ იციან თუ როგორ გადაანაწილებს სასამართლო მხარეთა შორის სასამართლო ხარჯებს და ხარჯებს, რომელიც გარემოებების არსებითი ცვლილების გამო აღმოცენდა. ხელშეკრულების ატაპტაციის აუცილებლობა შეცვლილი გარემოებების, არასტაბილურობის საგამონაკლისო შემთხვევების, შედეგია. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების შეცვლა უნდა განხილულ იქნებ როგორც სამართლებრივი საშუალება, რომელიც მიმართულია სწორედ არასტაბილური და კრიზისული მოვლენების შეცვლისკენ.

2.ხელშეკრულებიდან გასვლა გარემოებების არსებითი ცვლილებებისას

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, იმ შემთხვევაში თუ ვერ მოხდა ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, აძლებს შესაძლებლობას უარი თქვას ხელშეკრულებაზე.[100] შემდგომ თავში განხილული იქნება ხელშეკრულების გასვლის არსი და შეცვლილი გარემოებებისადმი

[100] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მე-3 ნაწილი: მხარეები ჯერ უნდა შეეცადინ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შევლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლიც ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ერთ-ერთი წინაპირობა.

2.1 ხელშეკრულებაზე უარის თქმის არსი

სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულებიდან გასვლის წესები 352-359 მუხლებშია გაწერილი. ხელშეკრულებიდან გასვლა სამოქალაქო კოდექსში მოიხსეინება ასევე როგორც ხელშეკრულებაზე უარის თქმა, მაგრამ ეს ორი უკანასკნელი იდენტურ ცნებებს წარმოადგენს.[101]

ხელშეკრულებიდან გასვლა, წარმოადგენს ნების ცალმხრივ გამოვლენას, რომლითაც ხელშეკრულების გაუქმება ხდება და რომელიც არ საჭიროებს მეორე მხარის თანხმობას. [102]იგი როგორც წესი გამოიყენება მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არ ასრულებს მასზე ნაკისრ ვალდებულებას, რითაც მეორე მხარეს ადგება ზიანი, მაგრამ ზოგჯერ მონაწილეებმა შეიძლება უარი თქვან ხელშეკრულებაზე მაშინ, როდესაც ისინი არ არღვევენ ხელშეკრულების პირობებს, მაგრამ ამას ობიექტური გარემოებები განავითარებს.[103]

ხელშეკრულებიდან გასვლის ცნებას და ამ უფლების წარმოშობის წინაპირობებს ადგენს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც: „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.“[104] იმ შემთხვევაში თუ სსკ-

---

[101]ძლიერიშვილი ზ., .ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.- სახელშეკრულებო სამართალი, 2014 წ. გვ. 504

[102]ჩიტაშვილი ნ., - „შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“, დისერტაცია 2014

[103]საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (მზია თოდუა, ჰუუბ ვილერმსი, ხათუნა ყვირალაშვილი, ირაკლი სვანიძე, თამარ მეტრეველი) - „ვალდებულებითი სამართალი“, თბილისი 2006

[104]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი

ის 405-ე მუხლის პირობების სახეზეა, მხარეს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ვალდებულების შეუსრულებლობით. სამართლებრივი შედეგები, რომლებიც ხელშეკრულებიდან გასვლას მოჰყვება სსკ-ის 352-ე მუხლით არის განსაზღვრული. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). ნატურით დაბრუნების ვალდებულება არის ვალდებულებითი ხასიათის მოვალეობა, რომლის შინაარსიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიიღო მხარემ ხელშეკრულებით. რესტიტუციისას მოვალემ უნდა დააბრუნოს ეს საგანი.[105] შესაბამისადნ, სსკ-ის 352-ე მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივ შედეგებს, ხოლო 405-ე მუხლი კი ადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის წესს და სავალდებულო წინაპირობებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული ხელშეკრულებიდან გასვლამდე.[106] ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები შესაძლებელია შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1) ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა; 2) ხელშეკრულების დარღვევა; 3) დამატებითი ვადის დაწესება; 4) დამატებითი ვადის უშედეგოდ ამოწურვა.[107]

ხელშეკრულებიდან გასვლის ერთ-ერთი წინაპირობაა ნამდვილი ხელშეკრულების არსებობაა. ვინაიდან თუ მხარეები ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხს სადაოდ გახდიან, მათ შორის წარმოშობილ ურთიერთობებთან მიმართებით გამოყენებული იქნება არა 352-ე და 405-ე

[105]რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 24.05.2016 მუხლი 352, ველი 6

[106]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.- სახელშეკრულებო სამართალი, 2014 წ.

[107]მაჭარაძე მ., - „ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულები მოშლა- განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოს და გერმანიის სამართლის მიხედვით), „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი 2008

მუხლები, არამედ გავრცელდება უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი წესები.[108]

ხელშეკრულებიდან გასვლის მეორე და მთავარ წინაპირობას წარმოადგენს ვალდებულების დარღვევის ფაქტი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ვალდებულების შეუსრულებლობით, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით, შესრულების ვადის გადაცილებით. ვალდებულების დარღვევისას სამოქალაქო კანონმდებლობა არ ხდის სავალდებულოდ ბრალეული დარღვევის არსებობს, ვინაიდან მხოლოდ დარღვევის ფაქტის არსებობაც საკმარისია.[109] ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება გამოიყენება მაშინ თუ ხდება ვალდებილების არსებითი დარღვევა, რაც ყოველი ფაქტობრივი გარემოების შეფასების მეშვეობით უნდა გადაწყდეს. არსებით დარღვევად უნდა განხილულ იქნეს ისეთი დარღვევა, რომელიც ფაქტობრივი შესრულების დანიშნულებისამებრ გამოყენებას შეუძლებელს ხდის.[110] იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების შესრულება ნაწილობრივ ხდება, აღნიშნული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დარჩენილი ნაწილის შესრულება აზრს კარგავს.[111]

მოვალისთვის დამატებითი ვადის დაწესება, ასევე წარმოადგენს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობას, რომლის მეშვეობითაც მხარეს უნდა მიეცეს ვალდებულების ხელმეორედ შესრულების შესაძლებლობა. აღნიშნული ვადა უნდა იყოს გონივრული და იგი ვალდებულების

---

[108]იხ. იქვე

[109]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.- სახელშეკრულებო სამართალი, 2014 წ. გვ.505

[110]ქოჩიაშვილი ა., - „ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნატურით დაბრუნების შეუძლებლობისშემთხვევაში ფულადი ანაზღაურების საკითრები“, ჟურნ. „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, 2013

[111]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.- სახელშეკრულებო სამართალი, 2014 წ. გვ.505

შესრულების შესაძლებელს უნდა ხდიდეს.[112] სწორედ დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, მხარეს შეუძლია გავიდეს ხელშეკრულებიდან, რის შესახებაც მან სავალდებულოა რომ შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს.[113]

ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელებას, თავისი სპეფიციური სამართლებრივი შედეგები მოჰყვება. „ხელშეკრულებიდან გასვლა იმ მეორად მოთხოვნის უფლებათაგანია, რომელიც თავისი შინაარსით მხარის მხოლოდ მინიმალურ ინტერესს აკმაყოფილებს,ინტერესს, არ დაზარალდეს და აღადგინოს იმ მდგომარეობა, რაც ჰქონდა სახელშეკრულებო ურთიერთობის წამოწყებამდე.“[114] შესაბამიდან ხელშეკრულების გასვლის შედეგს წარმოადგენს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება. [115]

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია განხორციელდეს ნატურით დაბრუნებითა ან ფულადი ანაზღაურების მეშვეობით. ნატურით დაბრუნება გულისხმობს უშულოდ იმ შესრულების და საგნის დაბრუნებას, რომელიც მხარემ ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო.[116] იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ნატურით დაბრუნების გზით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია ფულადი კომპენსაციის გამოყენება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი დეტალურად ადგენს იმ შემთვევებს,

---

[112]ქოჩიაშვილი ა., - „ ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნატურით დაბრუნების შეუძლებლობისშემთხვევაში ფულადი ანაზღაურების საკითრები“, ჟურნ. „ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა“, 2013

[113]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლი

[114]ფიფია ა., - „ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები“, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა 2008, გვ.106

[115]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.- სახელშეკრულებო სამართალი, 2014 წ. გვ.511

[116]ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ.- სახელშეკრულებო სამართალი, 2014 წ. გვ.511

რომელთა არსებობის დროს ნატურით დაბრუნების ნაცვლად გამოიყენება ფულადი კომპენსაცია[117] და შემთხვევებს როდესაც დაუშვებელია ფულადი ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობა.[118]

ზემოაღნიშნულ მსჯელობებში ძირითადი ყურადღება იყო გამახვილებული ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგად წინაპირობებზე, მაგრამ როგორც აღინიშნა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი ხელშეკრულების მხარეს, აძლევს შესაძლებლობას იმ შემთხვევებში თუ შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილ გარემოებებისადმი, გავიდეს ხელშეკრულებიდან, რაც შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის განსაკუთრებულ საფუძველს წარმოადგენს.

2.2 შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შეუძლებლობა, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობები

შეცვლილი გარემოებების აღმოცენისას, ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობას არა ვალდებულების დარღვევის ფაქტი წარმოადგენს, არამედ მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობა ხელშეკრულების მისადაგებაზე

[117]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის, მე-2 ნაწილი: ნატურით დაბრუნების ნაცვლად მოვალეს ეკისრება ფულადი ანაზღაურება, თუ:ა) შეძენილის ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხულია მისი დაბრუნება; ბ) მიღებულ საგანს მხარე გამოიყენებს, გაასხვისებს, უფლებრივად დატვირთავს, გადაამუშავებს ან გადააკეთებს; 3) გ) მიღებული საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა; სათანადო გამოყენებით გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.

[118] სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მე-4 ნაწილი: ფულადიანაზღაურებისვალდებულებაარწარმოიშობა, თუ :ა) საგნისის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, ამ საგნის გადამუშავების ან გარდაქმნის დროს აღმოჩნდა; ბ) საგნის გაფუჭება ან დაღუპვა კრედიტორის ბრალით მოხდა; გ) საგანი გაფუჭდა ან დაიღუპა უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ისეთივე ზრუნველობით ექცეოდა მას, როგორც საკუთარ ნივთს; ხოლო ის, რაც დარჩა, უკან უნდა დაბრუნდეს.

შეცვლილი გარემოებების გამო.[119] შესაბამისად, მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს და მხოლოდ შემდეგ შესაძლებელია დაზარალებულმა მხარემ, რომლის ინტერესებიც დაირღვა მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა.[120] ვინაიდან გარემოებების არსებითი ცვლილებისას ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება, აღნიშნულ შემთხვევებში უნდა დადგეს ის სამართლებრივი შედეგი, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი ითვალისწინებს, ე.ი უნდა მოხდეს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. [121]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი დანაწესი შეიძლება ითქვას რომ არ იზიარებს კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების მიდგომას ხელშეკრულების ადაპტაციასთან მიმართებით, ვინაიდან შეცვლილი გარემოებების აღმოცენისას იგი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგებას განიხილავს როგორც შესაძლებლობას. გარდა ამისა, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე უარს აცხადებს ხელშეკრულების მისადაგებაზე, იგი დაზარალებულ მხარეს ანიჭებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. ხოლო ევროპის ქვეყნებში ხელშეკრულების შენარჩუნების უპირატესობა, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მცდელობას განიხილავს, როგორც წინაპირობას იმისა, რომ ხელშეკრულების მისადაგება სასამართლოს მხრიდან მოხდეს და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს მხარეს უფლებას, რომ შეწყვიტოს ხელშეკრულება. მხოლოდ ერთი წინაპირობა, რომელიც ხელშეკრულების გასვლამდე მხარემ უნდა გაითვალისწინოს წარმოადგენს - დამატებითი ვადის დაწესება, აღნიშნული პირობა ბუნებრივია შეცვლილი გარემოებების დროსაც მოქმედებს, შესაბამისად გარემოებების არსებითი ცვლილებისას ხელშეკრულებიდან გასვლამდე დამატებითი ვადის დაწესება

---

[119]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი

[120]ჩიტაშვილი ნ., - „შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე“, დისერტაცია 2014

[121]საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლი

შეიძლება შეფასდეს ერთადერთ საშუალებად, რომელიც ხელშეკრულების შენარჩუნებისკენ არის მიმართული.

2.3 ხელშეკრულების პირობების „მკაცრად არ დაცვის“ შესაძლებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი არ იქნება მოთხოვნილი, „ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა.“[122]

კანონის აგვარი ჩანაწერი შეიძლება ითქვას რომ ბუნდოვანია სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით. ვინაიდან ცალსახად იმის დადგენა შეუძლებელია იგი ათავისუფლებს მხარეს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან, თუ ავალდებულებს მხარეს განაგრძოს მათი შესრულება სანამ არ მოხდება მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევა. თუ სიტყვასიტყვით განიმარტება აღნიშნული ჩანაწერი, იგი გულისხმობს, რომ „თუ არ იქნება მოთხოვნილი შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება, მაშინ მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა“,[123] რაც წინაამღდეგობაშია შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტის მიზნებთან. თუ დეტალურად გაანალიზებული იქნება შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტის არსი, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ჩანაწერი სწორედ მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულეების გაგრძელებას გულისხმობს.

აღნიშნული ჩანაწერი შეცვლილი გარემოებებით დაზარალებულ მხარეს აკისრებს ვალდებულებას, რომ მან მიუხედავად გარემოებების არსებითი ცვლილებისა უნდა განაგრძოს ვალდებულების შესრულება ისე და იმ

---

[122] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლი

[123] ტაბატაძე დ., ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ჟურნალი ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2013

ოდენობით, როგორც იგი მას ასრულებდა შეცვლილი გარემოებების აღმოცენამდე და ამასთანავე მან უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები ხელშეკრულების მეორე მხარესთან ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხზე. მხარემ ვალდებულება პირველადი სახით უნდა შეასრულოს მოლაპარაკებების პროცესის მიმდინარეობისას, მის დასრულებამდე, იქამდე, სანამ მხარეები მოლაპარაკების გზით არ მივლენ გარკვეულ შედეგამდე. მხარესთვის ასეთი ვალდებულების დაკისრება იმ მიზანს ემსახურება, რომ იმ შემთხვევაში თუ ისინი ვერ მიაღწევენ შეთანხმებას და ვერ მიუსადაგებენ ხელშეკრულებას შეცვლილგარემოებების, მეორე მხარეს არ წარმოეშვება მეორადი ვალდებულებების მოთხოვნის უფლება, შესაბამისად ის ვერ მოსთხოვს მხარეს, მაგალითად პირგასამტეხლოს ან/და ზიანს ხელშეკრულებიდან გასვლისას. ხოლო იმ შემთხვევაში თუკი მხარე, რომელზეც გავლენას ახდენს შეცვლილი გარემოებები, მოლაპარაკებების დაწყებამდე და მათი მიმდინარეობის განმავლობაში შეწყვეტს ვალდებულების შესრულებას, ხელშეკრულების მეორე მხარეს ექნება შესაძლებლობა ხელშეკრულებიდან გასვლისას მოითხოვოს როგორც პირგასამტეხლო, ასევე ზიანი, რომელიც მას მიადგა.

VI. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების არსი და მნიშნელობა

1. შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების არსი

სახელშეკრულებო ურთიერთობები ორიენტირებულია იმაზე, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად იყოს შესრულებული, თუმცა როგორც არაერთხელ აღინიშნა მხარეებს არ შეუძლიათ წინასწარ გათვალონ თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს მათი მდგომაორება და როგორი გარემოებები შეიძლება აღმოცენდეს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას დროებით, სამუდამოდ, ნაწილობრივ ან მთლიანად შეუძლებლად აქციოს.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ნორმები არ გამოიყენება ცალმხრივ გარიგებების და კანონისმიერ ურთიერთობათა მიმართ, ვინაიდან სსკ-ის 398-ე მუხლის მთავარი მოთხოვნაა ხელშეკრულების არსებობა, რაც თავისთავად გამორიცხავს კანონისმიერი ურთიერთობებსა და ცალმხრივ გარიგებებს მისი მოწესრიგების სფეროდან.[124]

სსკ-ის 398-ე მუხლი გამოიყენება ძირითადად გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებთან მიმართებიდან, მაგრამ ეს არ გამორიცხავს გარემოებების ცვლილებას მოკლევადიან ურთიერთობებშიც.[125] იმ ფონზე როდესაც არადგრადი ეკონომიკური გარემოა და ფინანსური და ეკონომიკური კრიზის დაწყების დიდი ალბათობაა გრძელვადიანი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების მტკიცე საკანონმდებლო რეგულიერებაა საჭირო. სწორედ ამიტომ გრძელვადიან ურთიერთობებთან

---

[124] ლეგაშვილი დ., - „შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე“, სამართლის ჟურნალი N2, 2013,79

[125] ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., სსკ-ის კომენტარი,წ. III, თბილისი,2001,403

მიმართებით, შეცვლილ გარემოებებთან ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტის გამოყენება საკმაოდ მოქნილ მექანიზმს წარმოადგენს. იმისდა მიუხედავად, რომ „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს მხარე არ შეიძლება იყოს შესრულების ყოველგვარი რისკის მატარებელი.“ [126]

სსკ-ის 398-ე მუხლის დებულებების მთავარი აზრი იმაში გამოიხატება, რომ შეზღუდულ იქნეს მხარეთა შორის ურთიერთობაში უსაფუძვლო ჩარევა; უზრუნველყოფილი იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობათა გარანტირებული სტაბილურობა; სამართლიანობის აღდგენა და აღკვეთა იმ არასასურველი შედეგების, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოვლენათა არასასურველი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში.[127]

აღნიშნული ინსტიტუტი სრულიან მხარეთა ინტერესებზეა მორგებული, ვინაიდან იგი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას ხელშეკრულების ადაპტირება მოახდინონ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, რაც ურუნველყოფს სახელშეკრულებო ურთიერთობის სტაბილურობას, რითაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ხელშეკრულების შესრულების სავალდებულო ხასიათს.

შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტის არსი პრაქტიკაში შეიძლება ხშირად აღრეულ იქნეს ისეთ ინსტიტუტებში, როგორებიცაა შესრულების შეუძლებლობა და ფორს-მაჟორი. ამიტომაც აღნიშნული ცნებების განსხვავების დადგენა მნიშნელოვანია, რათა აღმოიფხვრას აღნიშნული სირთულეები.

ვალდებულებითი სამართლის აღნიშნული ინსტიტუტებისთვის საერთოა სიტუაციის კრიტიკულობის ელემენტი, გარემოებების რადიკალური და უეცარი ცვლილებისას, რომლებსაც უარყოფითი გავლენა აქვთ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობათა დინამიკაზე.

---

[126] ლეგაშვილი დ., - „შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე“, სამართლის ჟურნალი N2, 2013,78

[127] Очхаев Т.Г- “Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств”, Москва,2015 г.

2.გარემოებების არსებითი ცვლილება და შესრულების შეუძლებლობა

შესრულების შეუძლებლობის ერთი ცნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ მოიპოვება და აღნიშნული ინსტიტურის მომწესრიგებელი ერთიანი ნორმა არ არსებობს ქართულ სამართალში. ამიტომაც არსებული ხარვეზის შევსება ქართულ სამოქალაქო კოდექსში, შესაძლებელია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მაგალითის გაზიარებით, რომელშიც შესრულების შეუძლებლობას 275-ე პარაგრაფი ეძღვნება.[128]

არც გერმანიის სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღრავს შესრულების შეუძლებლობის ცნებას, მაგრამ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად: „ შესრულების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია იმ ფარგლებში, რომელშიც იგი მოვალისათვის ან ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია.“ კრედიტორისთვის აღნიშნული ნიშნავს, იმას რომ იგი ვერ მოითხოვს ვალდებულების ნატურით შესრულებას. შეუძლებლობა ნიშნავს ისეთ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომლის დროსაც შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობა იკარგება ან წყდება. საკითხის იმის თაობაზე შესრულებადია თუ არა ვალდებულება, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად უნდა დადგინდეს. [129]

შესრულების შეუძლებლობას საფუძვლად უდევს გარკვეული სახის ფაქტობრივი თუ სამართლებრივი დაბრკოლება. ასეთი სახის დაბრკოლება, შესრულების შეუძლებლობის მიზეზი, შეიძლება აღმოცენდეს მხარეთა

---

[128] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის მდგომარეობით) - ჯგუფი „სიესტა“, თბილისი 2010

[129] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის მდგომარეობით) - ჯგუფი „სიესტა“, თბილისი 2010

მონაწილეობის გარეშე და იყოს მათი პასუხისმგებლობის ფარგლებს გარეთ, ასევე შესაძლოა იყოს კონტრაჰენტთა უმოქმედობის შედეგი. [130]

საყურადღებოა ის სამართლებრივი შედეგები, რომლებიც შესრულების შეუძლებლობას მოჰყვება. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 275-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან გათავისუფლება, თუკი მოვალისთვის ან მის ადგილას მყოფი ნებისმიერი პირისთვის შეუძლებელია. ამ შემთხვევაში საუბარია აბსოლუტურ შეუძლებლობაზე. [131]გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 275-ე პარაგრაფის მეორე ნაწილი ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულებისგან იმ შემთხვევაში, თუკი მისი შესრულება მოვალესთვის დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. [132]დიდი დანახარჯები შესაძლოა იყოს ისეთი გარემოებების შედეგი იყოს, რომელზეც პასუხისმგებელია ერთ-ერთი მხარე ან/და ორივე მხარე. ასევე შესაძლოა იყოს შემთხვევები, როდესაც არც ერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი შესრულების გართულებაზე. [133] მოვალის მხრიდან შესრულების შესაძლებლობის შეფასებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოვალის პასუხისმგებლობის ხარისხი აღნიშნული გარემოებების დადგომასთან მიმართებით. თუკი მოვალე პასუხისმგებელია იმ გარემოებების დადგომისთვის, რომლებიც შესრულების შეუძლებლობას იწვევს, მაშინ მან უნდა გასწიოს ის დიდი დანახარჯები და ვალდებულება ისე შეასრულოს.[134]

---

[130] Нам К.В – Невозможность исполнения обязательства в немецком гражданском праве, статья, журнал “Вестник гражданского права”, 2017, том 1, номер 4. Москва

[131] იხ. იქვე

[132] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) (2010 წლის მდგომარეობით) - ჯგუფი „სიესტა“, თბილისი 2010

[133] Нам К.В – Невозможность исполнения обязательства в немецком гражданском праве, статья, журн. Вестник гражданского права, 2017, том 1, номер 4. Москва

[134] იხ. იქვე

აღნიშნული გამომდინარეობას, რომ შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების სრულიად ან ნაწილობრივ შეწყვეტისკენ, რომელიც შეუძლებელი გახდა ობიექტური მიზეზების გამო.

შეცვლილი გარემოებების ინსტიტუს გამოყენება მიმართულია იმისკენ, რომ გარიგება კვლავ დარჩეს მომგებიანი ხელშეკრულების ორივე მხარისთვის ახალი გარემოებების პირობებში. მისი მიზანია, რომ აღდგენილ იქნება მხარეთა ინტერესების ბალანსი, რომელიც დარღვეულ იქნა მხარეთა ნებისგან დამოიუკიდებელი გარემოებების ცვლილების შედეგად.

შესრულების შეუძლებლობის დროს, ვალდებულება წყდება ავტომატურად, იმ მომენტიდან, როდესაც შესრულების აბსოლუტური და ობიექტური შეუძლებლობა დგება, მაშინ როდესაც ხელშეკრულება გარემოებების არსებითი ცვლილებისას გადასინჯვას ექვემდებარება მხარეთა შეთანხმებით ან როგორც ევროპის არაერთ ქვეყანაში სასამართლოს მხრიდან, მაშინ როდესაც მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმების ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითზე.[135]

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ინსიტუტს შორის შესაძლებელია არაერთი საერთო ნიშნის პოვნა, ისინი შემდეგი კრიტერიუმებით განსხვავდებიან: ა) ფუნქცია: თუ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის ინსტიტუტი მიმართულია ვალდებულების შეწყვეტისკენ, შეცვლილი გარემოებების ინსტიტური მიმაართულია მხარეთა ინტერესთა ბალანსის უზრუნველყოფისკენ და ბ) გამოყენების მექანიზმი: თუ ზოგადი წესის მიხედვით შესრულების შეუძლებლობა გამოიყენება ავტომატურად, შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება ხდება, როგორც წესი მხარეთა მოთხოვნის ან როგორც ბევრ ევროპის ქვეყნის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ.

---

[135] Очхаев Т.Г- "Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств", Москва,2015 г.

3. გარემოებების არსებითი ცვლილება და დაუძლეველი ძალა

შეცვლილი გარემოებები თავისი არსით ძალიან ჰგავს დაუძლებელი ძალით გამოწვეულ მოვლენებს. ფორს-მაჟორსა და გარემოებების არსებით ცვლილებას შორის ძალიან ვიწრო ხაზი გადის, რაც ართულებს იმის დადგენას, გარემოებების არსებით ცვლილებას ჰქონდა ადგილი თუ ფორს-მაჟორს.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მარეგულირებებილი დებულებულებები პირველ რიგში მიმართულია ვალდებულებითი სამართალ-ურთიერთობების შენარჩუნებისკენ და არა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხებთან.

დაუძლებელი ძალის გამოყენება და მოვალის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ შესრულების აბსოლუტური შეუძლებლობის დროს.[136] თავის მხრივ შეცვლილი გარემოებები არ ახდენს გავლენას მოვალეს შესაძლებლობაზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, ისინი ახდებენ გავლენას ვალდებულებით - სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესთა ბალანსზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით: „ ფორს-მაჟორი, ანუ დაუძლეველი ძალა შეუძლებელს ხდის ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, ამდენად, ფორს-მაჟორული სიტუაცია ნიშნავს მხარეთა დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებულ ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობა გამორიცხავს მოვალის ბრალს. დაუძლეველი ძალის შეფასების დროს მნიშნელობა ენიჭება კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას, თუ რამდენად შეუძლებელი იყო მხარის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების

[136] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (მზია თოდუა, ჰუუბ ვილერმსი, ხათუნა ყვირალაშვილი, ირაკლი სვანიძე, თამარ მეტრეველი) - „ვალდებულებითი სამართალი“, თბილისი 2006

გამო დაუძლეველი ძალის გამომწვევი მიზეზების თავიდან აცილება.“[137] აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, მოვალე ვალდებულია მოახდინოს პროგნოზირება, შეაფასოს და მიმართოს შესაბამის ზომებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაუძლეველი ძალის მოვლენები.

შეცვლილი გარემოებების და დაუძლეველი ძალის კატეგორიები განსხვავდებიან ასევე შედეგების მიხედვით. თუ შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტი არ წარმოადგენს უბრალო სამართლებრივ საშუალებას, რომელიც მიმართულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილიზაციისკენ, იგი ასევეა კომლექსური მექანიზმი, რომელშიც ჩადებულია რამოდენიმე სცენარი, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები გარემოებების არსებითი ცვლილებისას. [138]

შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტი და დაუძლეველი ძალა წარმოადგენენ განსხვავებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, რომლებიც მიმართულია განსხვავებული ამონაცანების გადასაჭრელად და მათ გამოყენებას განსხვავებულ სამართლებრივ შედეგამდე მივყავართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს შემდეგი კრიტერიუმები, რომლებიც განასხვავებს ამ ორი ინსიტუტს: ა) ფუნქციები - თუ დაუძლეველი ძალის ინსტიტუტი მიმართულია პასუხისმგებლობის ლიმიტის დადგენილისკენ და გარკვეულ გარემოებებში პასუხისმგებლობისგან განთავისუფლებისკენ, შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტი აუცილებელია იმისთვის, რომ მხარეთა ინტერესთა ბალანსი იყოს დაცული და ხელშეკრულების ეკონომიკური მისაღებობა იყოს უზრუნველყოფილი, ბ) სუბიექტური ფაქტორების ხარისხი: თუ დაუძლეველი ძალის ინსტიტუტი ორიენტირებულია ვალდებულების შესრულების აბსოლუტურ შეუძლებლობაზე, მხარეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების

---

[137] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება Nას-30-367-09

[138] Очхаев Т.Г- “Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств”, Москва,2015 г.

მიუხედავათ, თავის მხრივ შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტი ითვალისწინებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილის ინდივიდუალურ შესაძლებლობას გაითვალისწინოს და გადაანაწილოს გარემოებების შეცვლის რისკი.

დასკვნა

ზემოაღნიშნული კვლევის საფუძველზე შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება და მისგან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდიერად შესრულება სამოქალაქო სამართლის ამოსავალი პრინციპია და ის უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბიულობას, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ სტაბილურობის შესანარჩუნებლად ხელშეკრულება არ ექვემდებარება გადასინჯვას.

შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტი მიმართულია საქამოქალაქო თანასწორობის, კონტრაჰენტთა ინტერესების დაცვისკენ, რითაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. მისი მთავარი ამოცანაა, რომ ხელშეკრულება შესრულდეს ისე, რომ გარიგება ორივე მხარესათვის მომგებიანი დარჩეს და დაცული იყო იმ მხარის კანონიერი ინტერესი, რომელიც ზარალდება გარემოებების არსებითი ცვლილებებისას.

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტისადმი ქართული და უცხოური ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლის შედეგად შეიძლება გამოიყოს გარემოებების არსებითი ცვლილების კრიტერიუმები, რომლებიც გავრცელებულია განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში: ა) გარემოებების არსებითი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ; ბ) ადგილი უნდა ჰქონდეს ექსტრაორდინალურ გარემოებებს, რომლებიც ხელშეკრულების შემდგომ შესრულებას საგრძნობლად ართულებს; გ) გარემოებების ცვლილების გათვალისწინება შეუძლებელი უნდა იყოს; დ) ხელშეკრულების მხარეებს არ უნდა შესწევდეთ უნარი გაითვალისწინონ გარემოებების არსებითი ცვლილება და ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს გამოწვეული რომელიმე მხარის ქმედებით; ე) გარემოებების ცვლილების რისკი არ იყო და არ

შეიძლება რომ დაზარალებულ მხარეს საკუთარ თავზე ჰქონდეს აღებული. სწორედ აღნიშნული წინაპირობების არსებობისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება და თუ მისადაგება შეუძლებელი აღმოჩნდება გავიდეს ხელშეკრულებიდან.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას რომ მიუხედავად იმისა, რომ შეცვლილი გარემოებების აღმოცენისას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას პირის ბრალეულობა არ იკვეთება, მხარეს პასუხისმგებლობის საკითხი ზოგადი წესების მიხედვით დადგება ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება პროცესი წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხს, ვინაიდან აღნიშნულ მუხლში შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება განხილულია, როგორც შესაძლებლობა, მაშინ როდესაც როგორც კონტინენტური ევროპის, ასევე ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში ხელშეკრულების გადასინჯვა წარმოადგენს სასამართლოსთვის მიმართვის წინაპირობას.

კეთილსინდისიერების და ურთიერთანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე, ხელშეკრულების მხარეებმა უნდა აწარმოონ მოლაპარაკება და შეეცადონ მოახდინონ ხელშეკრულების ადაპტირება შეცვლილი გარემოებებისადმი და ხელშეკრულების შეწყვეტასთან შედარებით ხელშეკრულების შენარჩუნებას უნდა მიანიჭონ უპირატესობა. ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესებიდან აღნშნული უპირატესობა არ იკვეთება, ვინაიდან 398-ე მუხლი მხარეს ანიჭებს ხელშეკრულებიდან გასვლის ავტომატურ შესაძლებლობას ისე, რომ მოლაპარაკების პროცესის გამართვას არ ხდის სავალდებულოდ, რაც პირდაპირი გზით ეწინაამღდეგება შეცვლილი გარემოებების ინსტიტუტის მთავარ მიზანს, უზრუნველყოს სახელშეკრულებო თანასწორობა და მხარეთა

ინტერესთა ბალანსი. მოლაპარაკების პროცესთან მიმართებით ხარვეზიანია 398-ე მუხლის ის ჩანაწერი, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას იძლევა მეორე მხარის მისადაგებაზე თანხმობის არ არსებობის შემთხვევაში. ასეთი ჩანაწერი შესაძლოა არაკეთილსინდისიერმა კრედიტორმა ბოროტად გამოიყენოს. შესაბამისად აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების დროს, მოლაპარაკებების გამართვის პროცესის სავალდებულობას სამოქალაქო კოდექსში პირნათლად ხაზი გაესვას.

მას შემდეგ რაც მხარეები შეეცდებიან რომ მოლაპარაკებების გზით მიუსადაგონ ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს და აღნიშნული პროცესი წარუმატებელი აღმოჩნდება მათ უნდა მიენიჭოთ შესაძლებლობა მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ ხელშეკრულების ადაპტაცია სასამართლოს მეშვეობით. სასამართლოს ჩართვის საკითხი არ უნდა შეფასდეს მხარეთა ნების ავტონომიაში ჩარევად, ვინაიდან სასამართლო ხელშეკრულების ადატაციის მხარეთა მოსაზრებებს და შეხედულებებს გაითვალისწინებს. აღნიშნული შესაძლებლობა ხელშეკრულების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს, ვინაიდან სასამართლოს მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობის ხასიათის, ხელშეკრულების სფეციფიკის გათვალისწინებით შეუძლია მხარეებს შესთავაზოს მათი ინტერესების შესაბამისი ადაპტაციის საუკეთესო ვარიანტები. გარდა ამისა, სასამართლოს მიერ ადაპტირებული ვერსია შესასრულებლად სავალდებულო იქნება მხარეთათვის და მისი დაცვის ვალდებულება მხარეებს უბიძგებს, რომ ვალდებულების შესრულება კეთილსინდისიერად განაგრძონ, ვინაიდან მაინც არსებობს რისკი იმისა, რომ უშუალოდ მხარეთა მიერ მიღებული შეთანხმებული პირობები დაიღვეს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ვერ შეძლებს მოახდინოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი სასამართლოს ექნება შესაძლებლობა ხელშეკრულება შეწყვიტოს ზოგადი წესების მიხედვით, მაგრამ

სასამართლოს მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა უკიდურეს ნაბიჯს უნდა წარმოადგენდეს და იგი უნდა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების ადაპტირების ყველა შესაძლო ვარიანტი გამორიცხული იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების გზით არ ხდება მხარეთა ნების ავტონომიის ხელყოფა, პირიქით, მისადაგება ხელს უწყობს მხარეებს, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი პირველადი გამოვლენილი ნების შესრულება.

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის ანალიზიდან იკვეთება, რომ ხარვეზიანია აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილია მეორე წინადადება, რომელიც მხარეს შეუცვლელი ხელშეკრულების „მკაცრად არ დაცვის“ შესაძლებლობას ანიჭებს. სიტყვასიტყვითი განმარტებიდან აღნიშნული ჩანაწერი განსსხვავდება იმისგან, თუ რეალურად რა დატვირთვის მატარეველიც არის. შესაბამისად იგი ან საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული 398-ე მუხლიდან ან ჩამატებული იქნება განსხვავებული ინტეეპრეტაციით, რომელიც პირდაპირი გზით კავშირში იქნება შეცვლილი გარემოებების არსსთან.

ზემოთმოყვანილი მსჯელობებიდან ნათელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლიი აშკარად შეიცავს არაერთ ხარვეზს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების საკანონმდებლო რეგულაციის სრულყოფა აუცილებელია, რათა მხარეებმა შეძლონ სრულყოფილად მოაწესრიგონ მათ შორის წარმოშობილი სადავო საკითხი, რითაც შენარჩუნებული იქნება მხარეთა თავდაპირველი ინტერესები და სამოქალაქო - სამართლებრივი ბრუნვაც მეტად სტაბილური გახდება.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა

აბესაძე დ., შეცვლილი გარემოებები და მათი ზეგავლენა სამშენებლო ხელშეკრულებათა შინაარსზე., თ. ნინიძის საიუბილეო კრებული 65, 2016

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართლი, თბილისი, 1999

ბეგიაშვილი ნ., ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა, „სარჩელი“, თბილისი,2011

ბზეკალავა ე., ჭალიძე თ., ცერცვაძე ა., გეგენავა დ., ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები , თარგმანი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

გეგენავა ა., ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თბილისი 2015

ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა GTZ, თბილისი,2010

ზოიძე ბ., ჭანტურია ლ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., სსკ-ის კომენტარი,წ. III, თბილისი,2001

იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, (შედარებითსამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნ.“ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა 2007

ლეგაშვილი დ., - „შეცვლილი გარემოებების გავლენა სახელშეკრულებო ურთიერთობებზე“, სამართლის ჟურნალი N2, 2013

მათიაშვილი ზ., UNIDROIT- საერთაშორისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპები, ჟურნ. „საერთაშორისო სამართალი“, N14, დეკემბერი,2000

მაჭარაძე მ., ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა - განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოს და გერმანიის სამართლის მიხედვით), ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოცემა, თბილისი,2008

რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 24.05.2016 მუხლი 352, ველი 6

სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის, გიორგი ჯუღელის რედაქტირებით, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (მზია თოდუა, ჰუუბ ვილერმსი, ხათუნა ყვირალაშვილი, ირაკლი სვანიძე, თამარ მეტრეველი), ვალდებულებითი სამართალი, თბილისი 2006

ტაბატაძე დ., ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ჟურნალი ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2013

ფიფია ა., ხელშეკრულებიდან გასვლის კონტინენტურევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი მახასიათებლები, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა 2008,106

ფიფია ნ., ხელშეკრულებიდან გასვლისა და ხელშეკრულების მოშლის თავისებურებანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დისერტაცია, თბილისი, 2018

ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, N1,2009

ქოჩიაშვილი ა., ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში ფულადი ანაზღაურების საკითრები, ჟურნალი„ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, 2013

ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნალი მართლსაჯულება და კანონი, N3(26)/10

ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშნელოვბა სახელშეკრულებ პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი N1, 2009

ჩიტაშვილი ნ., შეცვლილ გარემოებათა პირობებში სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გამომსირცხველი საფუძვლებისა და თანმდევი სამართლებრივი შედეგების ანალიზი, სამართლის ჟურნალი N2, 2014

ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგება,როგორც ვალდებულების შესრულების გართულების სამართლებრივი შედეგი, სამართლის ჟურნალი N1, 2014

ჩიტაშვილი ნ., შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე, დისერტაცია 2014

ჩიტაშვილი ნ., - შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების გართულება და შეუძლებლობა, სამართლის ჟურნალი N2, 2011

ჩოხელი ნ., - ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ჟურნალი სამართლის მიმოხილვა, თბილისი, 5/2002-4

ზ.ძლიერიშვილი - ვალდებულების შესრულება, თბილისი 2006

წკეპლაძე ნ., - ფურადი ვალდებულების გადახდა ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას (სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა) ჟურნ. ქართიული სამართლის მიმოხილვა“ თბილისი, 2003

ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ.,შენგელია თ.,ხუცურიანი ჯ., - სსკ-ის კომენტარი წ. III

ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი 2011

ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე

ხუციშვილი ო., სისვაძე მ., ტოხოსაშვილი მ., ფორს-მაჟორის და „Hardship”- ის ცნება უნიფიცირებულ სახელშეკრულებო ნორმებში და მათი ანალოგი ქართულ სამართალში, თბილისი 2017

უცხოურ ენებზე:

Baranauskas E., Zapolskis P.,- The effect of change in circumstances on the performance of contract, Vilnius, 2009

Banell M.J. – The UNIDROIT Principles, 2010

Firoozmand M.R., - Changes circumstances and immutability of contract, a comparative analysis of Force Majeure and delates doctrines, Bus. L. Int'l Vol8, N2,2007

Momberg R.U.- The effect of change circumstances on the binding force of contracts, 2009

Pietrancosta. A., Introduction of the hardship doctrine ("theorie de I'imprevision) into French contract law: A mere revolution on the books?, 2016

Unexprected Circumstances in European Contract Law, Cambridge University 2011

Zundel M., Equitable Reformation of Long-term Contracts. The New Spirit of ALCOA". Utah Law Review, 1982

Барон. Ю., Система римского гражданского права, Выпуск 3, Книга 4. Обязательное право, Санк-Петербург, 1910

Каменецкий Д.В., Договорная ответственност в гражданском праве, диссертация, Екатеринбург, 2001

Коновалов.С.А., Основание гражданско-прававой ответственности, диссертация, Москва, 2006

Мухачева Е. С.- Невозможность исполнения обязательств в российском европейском и единообразном частном праве. Автореферат, Томск,2013

Иванова,Е.В., Договорное прво, Том 1,Общая часть, Москва,2017,

Нам К.В – Невозможность исполнения обязательства в немецком гражданском праве, статья, журн. Вестник гражданского права, 2017, том 1, номер 4. Москва

Очхаев Т.Г- Изменение и расторжение договора в связи с существенным изменением обстоятельств, Москва,2015 г.

Румынина В.В., Прававое обеспечение профессиональной деятельности- учебник для студ.проф.учеб. заведений, Издательский центр "Академия", 2006

Петрищев В.С.- Существенное изменение обстоятельств правоприминение ст . 415 ГК РФ и опыт стран общего и континентального права,Москва 2007

Мухачева Е. С.- *Невозможность исполнения обязательств в российском европейском и единообразном чвстном праве. Автореферат, Томск,2013*

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - საქართველოს პარლამენტი

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - მთარგმნელი და რედაქტორი ჭეჭელაშვილი ზ., თბილისი, 2010

უნიფიცირებული სამართლებრივი აქტები:

ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ - ქ.ვენა 1969 წლის 23 მაისი)

Principles of European Contract Law 2002(Parts I,II and III) – European Union

UNIDROIT PRINCIPLES of International Commercial Contracts – International Institute of the Unification of Private Law, Rome 2016

საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის განჩინება Nას-14-75-1395-2017

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატია 2018 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება Nას-220-209-2017

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება Nას-202-191-2017

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება Nას-319-303-2011

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება N-ას-1153-1173-2011

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილება N-ას-7-6-2010

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის გადაწყვეტილება Nას-466-707-08

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება Nას-30-367-09

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება Nას-320-641-09

უცხოური სასამართლოების გადაწყვეტილებები

National Carriers Ltd v Panalpina (Northern) Ltd, decision, AC 675, United Kingdom House of Lords, December 11, 1980

Taylor V. Caldwell, decision (EWHC QB J1), Court of King's Bench, May 6, 1863

Paradine v. Jane, decision (EWHC KB J5), Queen's Bench court, March 26, 1647

ელექტრონული წყაროები:

http://www.gccc.ge/ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი
https://www.trans-lex.org/601101/_/french-civil-code
https://www.lawteacher.net/cases/taylor-v-caldwell.php
https://www.lawteacher.net/cases/national-carriers-v-panalpina.php